საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 თებერვალი, 2014 წელი.

№37 (7418)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გაზეთში ნებისმიერი გაცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

მაიდანზე ძალიან ბევრი სისხლი, ტკივილი და სიძულვილია

4

ნაციონალებს ციფრი „5“ ცუდად შეეთუბრუნდათ

7

სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება

მიზანშეწონილია აშშ-ის მედიასაშუალებებში ჩვენი მოსაზრების გამოქვეყნება

ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, ბატონ რიჩარდ ნორლანდს

ღრმად პატივცემულო ბატონო რიჩარდ ნორლანდ!

სამოცდაათ წელს გადაცილებულთა ჯგუფმა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება გამოვაქვეყნეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (17.12.2013 წ. №243).

იმის გათვალისწინებით, რომ პუბლიკაციაში დასმული კითხვები და შეფასებები, ჩვენი აზრით, ინტერესომკლებული არ უნდა იყოს, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებულ შტატების გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის ხომ არ ჩათვლიდით მიზანშეწონილად, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოთ „მოსაზრების“ გამოქვეყნებას აშშ-ის იმ მედიასაშუალებებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქებით. დიდად მადლობლები ვიქნებით ამ ჩვენი თხოვნის ხელშეწყობისათვის.

პატივისცემით

თამაზ გაგუა, ზაალ გენძეხაძე, ჯემალ კუხალაშვილი, ზაურ მესხიშვილი, ბორის სარალიძე, ზაურ ჩიტიძე.

დღის ამფრაზურიდან

ვახტანგ გორგასლის მესიჯი მე-5 საუკუნიდან...

— შორსმჭვრეტელი კი მეგონა ჩემი თავი, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე თბილისის მერი ჯერ ჭიაბერაშვილი გახდებოდა და მერე უგულავა. ასე რომ მცოდნოდა, ჩემდათავად ხოხობზე სანადიროდ წამსვლელის დედაც...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

პატრიარქი ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელთა ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა

შეხვედრას დაახლოებით 30-ზე მეტი ებრაული თემის წარმომადგენელი სულიერი ლიდერები, მათ შორის რაბინები ესწრებოდნენ. პატრიარქი მათ ებრაელთა და ქართველთა 26-საუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ესაუბრა.

შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ, როგორია პატრიარქის შეხედულება მეცნიერებისა და რწმენის შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს ავსებს და არ ეწინააღმდეგება.

უწმინდესის თქმით, უმთავრესი არის რწმენა, შემდეგ მეცნიერება და რომ რწმენის მქონე მეცნიერი ღმერთის მეგობარია.

კათოლიკოს-პატრიარქმა შეხვედრაზე მყოფ ამერიკიდან და კანადიდან ჩამოსულ ებრაელებს საკუთარი საგალობლები მოასმენინა. ასევე საჩუქრად გადასცა დისკები და წიგნი „საქართველოს ბუნება“. თავის მხრივ, ებრაელმა რაბინებმა პატრიარქს საჩუქარი გადასცეს.

ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელთა ფედერაციის თავმჯდომარემ რაბინმა სტიუარტ ვეინბლატმა განუცხადა, ისინი საქართველოში უკვე ოთხი დღეა იმყოფებიან. მანამდე იმყოფებოდნენ გორში. ასევე თბილისში შეხვდნენ ებრაული თემის წარმომადგენლებს. როგორც მან აღნიშნა, ქართველი ხალხი ძალიან თბილი და მოსიყვარულეა და მოხიბლული არის ასევე საქართველოს ბუნებით.

ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელთა ფედერაცია ეხმარება ებრაელებს და არაებრაელებს, რომელთაც სჭირდებათ დახმარება და ძირითადად მათთვის სოციალური სერვისების მომსახურების გაწევით არის დაკავებული.

ევროკავშირი ცდილობს, მოიზიდოს ინვესტიციები საქართველოში

ამის შესახებ ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარმა გიუნტერ ოტინგერმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ოტინგერმა ისაუბრა საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებაზე და ამ მხრივ საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის გაღრმავებაზე.

— ევროკავშირი ცდილობს, მოიზიდოს ინვესტიციები საქართველოში, რათა საქართველოს ენერგოსისტემა უფრო გაძლიერდეს და თქვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იყოს უფრო მდგრადი. ჩვენ გავცვლით მოსაზრებებს და გავუზიარებთ გამოცდილებებს ერთმანეთს და ხელს შევუწყობთ ინვესტიციებს თქვენ ქვეყანაში, — განაცხადა გიუნტერ ოტინგერმა.

მისივე თქმით, მისი ვიზიტის პარალელურად საქართველოში იმყოფება გერმანელ ბიზნესმენთა ჯგუფი. დელეგაციის შემადგენობაში არიან ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები, როგორიც არის „სიმენსი“, გერმანიის რკინიგზა, გერმანიის ბანკი, „ჰაიდელბერგ ცემენტი“. აღნიშნული ჯგუფის მთავარ მიზანს საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებობების შესწავლა წარმოადგენს.

მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა

როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, პროგრამის მოცულობა 50 მილიონი ლარია და მის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფა.

— ჩვენი სამინისტროს თანამშრომლები მუნიციპალიტეტებში იმყოფებიან და მიმდინარეობს ტრენინგები სოფლის რწმუნებულებისთვის, რათა პროგრამის სწორად ადმინისტრირება მოხდეს. შემდეგ დაიწყება სოფლის კრებები, რომლის ფარგლებშიც შეგროვდება ინფორმაცია ამა თუ იმ სოფელში აუცილებლად განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ. მოვუწოდებთ სოფლის მოსახლეობას, მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, რათა დაფინანსდეს იმ პრობლემების მოგვარება, რაც მათ აწუხებთ თავიანთ სოფლებში, — განაცხადა ნარმანიამ.

ამასთან, მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებსაც სთხოვს, აქტიურად ჩაერთონ პროგრამის მონიტორინგის პროცესში, რათა ის წარიმართოს ისე, როგორც გათვალისწინებულია.

ინტერპრესი

◎ კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა დაიწყო

პატიმრობა კლასიფიკაცია პოტენციური საშიშროების მიხედვით

„პატიმრობის შესახებ კოდექსში“ შესატანი ცვლილებები ითვალისწინებს პატიმართა კლასიფიკაციას იმის მიხედვით, რა პოტენციურ საშიშროებასაც წარმოადგენენ ისინი საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დღეს არსებული ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებებს კიდევ ორი ტიპის საპატიმროები შეემატება — დაბალი და განსაკუთრებული ხიფათისა. კანონპროექტის ავტორია სასჯელაღსრულების სამინისტრო. სახალხო დამცველის აპარატი და ზოგი არასამთავრობო ორგანიზაცია ცვლილებებში, დადებითთან ერთად უარყოფით ასპექტებსაც ხედავენ.

დაბალი და განსაკუთრებული რისკის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრას, დანაშაულის სიმძიმის გარდა, უმთავრესად, პატიმართა ქცევა განაპირობებს. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე განმარტავს, ცვლილებები „პატიმრობის შესახებ კოდექსში“, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა კონტროლის მექანიზმის დახვეწის გარდა, მავნე, კრიმინალური ზეგავლენისაგან პატიმართა დაცვასაც მოემსახურება:

„ეს, ბუნებრივია, პატიმრებზე მავნე გავლენას ამცირებს. ბევრჯერ გაგვიგია, რომ, მაგალითად, ავარიისთვის მსჯავრდებული პირი არ იყო კრიმინალური მენტალიტეტის, მაგრამ იმის გამო, რომ უწევდა ასეთი კატეგორიის პატიმრებთან ყოფნა, გამოსვლის შემდეგ მისი მენტალიტეტი შეიცვალა და, ბუნებრივია, ეს საზოგადოების უსაფრთხოებაზეც მოქმედებს. ანუ ეს ყველაფერი როგორც პატიმრისთვის, ასევე ციხის მართვისთვის ცივილიზებული მეთოდით და კანონის დაცვით საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი ცვლილებები და არის მნიშვნელოვანი რეფორმა“.

გიგა გიორგაძისვე განმარტებით, დაბალი და განსაკუთრებული რისკების დაწესებულებებში განსხვავებული იქნება პატიმრობის პირობები. ეს გამოიხატება, უმთავრესად, რეჟიმის სიმკაცრეში:

„ერთად უწევს ყველას, კრიმინალსაც და არაკრიმინალსაც ყოფნა და პატიმრების უმრავლესობა იძულებულია, დაემორჩილოს იმ წესებს, რაც გარკვეულ ჯგუფს, სუბკულტურას, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელს გააჩნია. მათი განცალკევება მოხდება. მათ ექნებათ საშუალება სასჯელი უფრო ლიბერალურ პირობებში მოიხადონ. იქ ექნებათ მათ დასაქმების, პროფესიის შეძენის საშუალება, გარე სამყაროსთან მეტი კონტაქტი, მეტი ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემანი, ულიმიტო სატელეფონო საუბარი და პირიქით“.

„და პირიქით“, ანუ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს არ ექნებათ ხანგრძლივი, ანუ 23-საათიანი პაემნით სარგებლობისა და საპატიმროს დროებით დატოვების უფლება. კანონპროექტის ეს ნაწილი არ მოსწონს და ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევად მიიჩნევს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკა კვარაცხელია:

„ჩვენ გვქონდა რეკომენდაცია-შენიშვნა, რომ ასე სრულად არ ყოფილიყო გამორიცხული პაემნის შესაძლებლობა. შესაძლებელია მკაცრი წესი დაგვედგინა, თუმცა ამ უფლების საერთოდ შეზღუდვა მიგვაჩნია, რომ არ არის გამართლებული და მიგვაჩნია, რომ შესაძლოა, ეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების - დარღვევის საფუძველიც გახდეს“.

ზოგადად, ნიკა კვარაცხელიას სიტყვებით, ასეთი ტიპის დაწესებულებათა არსებობის საწინააღმდეგო სახალხო დამცველის აპარატს არაფერი აქვს, თუმცა, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, მაგალითად, სავალდებულო ელექტრონული თვალთვალის დაწესებითა და ხანგრძლივ პაემნებზე უარის თქით ირღვევა ადამიანის უფლებათა კონვენცია. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარის აზრით, პატიმართა ამა თუ იმ ტიპის დაწესებულებაში მოხვედრის მექანიზმი უნდა იყოს ძალიან მოქნილი და უნდა არსებობდეს მისი გადახედვის შესაძლებლობა.

დაბალი რისკის დაწესებულებასა და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას რომ ემატება დაწესებულების ტიპი, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად მოხდება ამ პატიმრების კლასიფიკაცია და ეს კარგია...

პატიმართა კლასიფიკაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილი მულტიდისციპლინური ჯგუფი მოახდენს, რომელშიც სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სფეროს წარმომადგენელი სპეციალისტები შევლენ. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ეს ჯგუფი შეაფასებს თითოეულ პატიმარს ინდივიდუალურად და ამის მიხედვით გასცემს დასკვნას.

სწორედ პატიმართა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით უჩნდება კითხვები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ადვოკატს მაია ხუციშვილს. ის, ერთი მხრივ, მიესალმება იმას, რომ კლასიფიკაცია სასამართლოს გადასაწყვეტი არ იქნება, სასჯელის განსაზღვრის პარალელურად, მაგრამ ფიქრობს, რომ კანონში უნდა ჩაიდოს მკაფიო განმარტებები:

„დღესაც ნახევრად ღია დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის პირები, რომელთა სასჯელიც არ აღემატება 10 წელს, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მაგრამ სასჯელი იყო 2 წელი ან 3 წელი და ასეთი ტიპის მსჯავრდებულსად უნდა წასულიყო, არ წერია დღეს მოქმედ კოდექსში და ასეთი ტიპის პრობლემები ხშირად იყო ხოლმე. და დღეს უკვე ამ დაბალი რისკის დაწესებულებასა და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას რომ ემატება დაწესებულების ტიპი, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად მოხდება ამ პატიმრების კლასიფიკაცია და ეს კარგია. თუმცა, თუ ანალოგიური გადანაწილება იქნება, ანუ შეფასება იმისა, თუ ვინ არის დაბალი რისკის ტიპის ან ვინ განსაკუთრებულის, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ეს პრობლემური იქნება“.

ამ კვირაში კანონპროექტის საპარლამენტო განხილვაც დაიწყო.

ნინო ხარაძე

◎ ზუგდიდი

ოთარ ფაცაცია: ათას რამეს გვაბრალებენ და წერენ, რაც უნდათ

საზოგადოება „ზუგდიდელმა“ ზუგდიდის საზოგადოებრიობას ხუთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილე მურმან ნაჭყებია ნახევარ საათზე მეტი ხნის განმავლობაში აცნობდა ზუგდიდელებს იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც მათ წარმართეს ზუგდიდსა და ზუგდიდელების საკეთილდღეოდ. „საზოგადოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ დაფინანსებულა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და არც გრანტით. ყველაფერი განხორციელდა ჭეშმარიტი, პატრიოტი ზუგდიდელი სპონსორების შემოწირულობებით. ასე რომ, საზოგადოება არ არის სახელმწიფო თანხის მფლანგველი, ხაზინის მძარცველი და „გრანტიჭამია“, — აღნიშნა მურმან ნაჭყებიამ.

ამ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მთავარი ბრალდება „ზუგდიდელის“ მიმართ ის არის, რომ წინ არ აღუდგნენ და არ შეეწინააღმდეგნენ ზუგდიდის დანგრევის პროცესს . „ათას რამეს გვაბრალებენ, წერენ რაც უნდათ, ვინ არის ეს ნაფტალინმოყრილი ხალხიო, ბიუჯეტის თანხებს ჭამენო, არაფერს არ აკეთებენო და ა.შ. წერონ რაც უნდათ, რომ არ ვყვირივართ და არ ვჩანვართ, იმას არ ნიშნავს, რომ არაფერს არ ვაკეთებთ. ჩვენ ჩუმად ვაკეთებთ ჩვენ საკეთებელ საქმეს. ისე პიარიც კი ყოფილა საჭირო. რაც შეეხება სტადიონის საკითხს, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ზუგდიდის სტადიონის დანგრევა 2011 წლის ბოლოს დაიწყო. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ზუგდიდს ცენტრალური სტადიონი მისთვის შეუფერებელ ადგილას მდებარეობდა, რითაც ირღვეოდა ზუგდიდის ისტორიული იერსახე. არ შევეწინააღმდეგეთ იმიტომ, რომ სანაცვლოდ ენგურქაღალდ კომბინატის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩემი დირექტორობის დროს დაწყებული სტადიონის მშენებლობა უნდა გაგრძელებულიყო, რომელიც გათვალისწინებული იყო 30 000 მაყურებელზე. ჩვენდა სამწუხაროდ, ერთმა პიროვნებამ, ისიც არაზუგდიდელმა (იგულისხმება ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია — **ლ.ქ.**) სტადიონი კომბინატის ნაცვლად განმუხურში გადაიტანა. აი მაშინ უნდა აღდგომოდნენ ყოველივე ამას ზუგდიდელები. მაგრამ ჩვენმა უმოქმედობამ და ერთი კაცის ახირებამ გადაწყვიტა სტადიონის არა კომბინატში, არამედ განმუხურში დამკვიდრება. განმუხურის სტადიონი, რომელიც ზუგდიდიდან 30 კმ-ით არის მოცილებული, ზუგდიდელებისთვის დაკარგულია. საჭიროა საზოგადოების აქტიურობა. მე დაგიდგებით წინ და ვიბრძოლოთ, რომ ზუგდიდის სტადიონი აშენდეს იქ, სადაც მიზანშეწონილია“ — განუცხადა დამსწრეთ საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ.

შეხვედრაზე მურმან ნაჭყებიამ შეკრებილთ გააცნო საზოგადოების ახალი ინიციატივა: „ჩვენ ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას, რომ საქართველოში აიკრძალოს ერთსქესიანთა ქორწინება და მოხდეს ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენა,“ — განაცხადა მურმან ნაჭყებიამ.

ლადო ძირია,
ზუგდიდი.

„არაორდინარული სიტუაცია სწრაფ ანალიზს და ოპერატიულ პოლიტიკურ მოქმედებას მოითხოვს“!

მკითხველს მოვახსენებ ჩემს მოსაზრებას თებერვლის პირველი ნახევრის ორ მთავარ პოლიტიკურ „ნიუსზე“, რაც უდაოდ იმსახურებს ყურადღებას – 1) აშშ-ის 42 კონგრესმენის წერილი სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის... 2) პრეზიდენტ პუტინის რეპლიკა სოჭში, რომელიც საქართველოს პირველ პირთან სავარაუდო შეხვედრას შეეხებოდა... ამასთან მიმართებით ქართულ პოლიტსპექტრში, საზოგადოებაში გაკეთდა კომენტარები, პროგნოზები, უმეტესად, პირველ ნიუსზე, - „აღფრთოვანებული“, ხოლო მეორეზე, – „მკვეთრად“ უარყოფითი!.. მივყვეთ თანამიმდევრობით...

ძალიან კარგია, რომ აშშ-ის 42 კონგრესმენი აშშ-ის მთავრობისგან ითხოვს საქართველოს დახმარებას და ნატოს ლონდონის სამიტზე ჩვენთვის მაპ-ის მონიჭებას, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც „აღფრთოვანებასთან ერთად“, ამ საქმეს „თითქმის დასრულებულად“ მიიჩევენ, რადგან – „42 ამერიკელმა კონგრესმენმა დაიჯერა ახალი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის უცვლელობა, რომელსაც წინა ხელისუფლება (ანუ „ნაცმოძრაობა“) ახორციელებდა“. განა, მათ წარსულმა არაფერი ასწავლათ?! დააავიწყდათ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბუში თვითონ ლობირებდა და ბუქარესტში, ლამის „უკან დასდევდა დარბაზში“, გერმანიის კანცლერ მერკელს 2008 წლის აპრილში, რათა ხმის მიცემისას გერმანია წინააღმდეგი არ ყოფილიყო საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხში და რა გამოვიდა აქედან, ალბათ, გახსოვთ?!

მანამდე კი, 2005 წლის მაისში, თბილისში თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას პრეზიდენტი ბუში არ იყო, რომ განაცხადა, – „წითელი ხაზია გავლებული კავკასიის ცენტრალურ ქედზე და მას ვერავინ გადმოლახავს, საქართველოს სუვერენიტეტი ხელშეუხებელიაო“, – არ იყო ასე, თუ მე ვიგონებ რამეს?! და შემდგომ, რა განვითარება ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებს, პრეზიდენტ ბუშის და ავანტიურისტ სააკაშვილის (სხვა, ნაცლიდერებთან ერთად!) 2005-2008 წლების „აქტიურობებს“ საქართველოსთვის?! ვინ მეტყვის, რამდენი კოლომეტრით არის დაშორებული ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს მდებარე ქართლის სოფელი იგოეთი, სადაც რუსული ტანკები გაჩერდნენ, კავკასიის ცენტრალური ქედისგან?! თბილისის „აღება-არაღებამდე“ ვინ მიიყვანა საქმე და რომელი პოლიტიკური სტრატეგიის თუ ტაქტიკის გამო მოხდა ეს?!

გაგვაგებინეთ, ამ „ნაცსტრატეგიას“ ერთგულობთ „ქართულ ოცნებაში“?! არ გახსოვთ „ნაცების“ ნაცოდვილარი „საგარეო კურსი“, რომელიც ჩვენი მიწების 20%-ის ოკუპაციით „დასრულდა“!?

რა მოხდა, კოლექტიური ამნეზია შეგეყარათ „ოცნებაში“?!.. არა მგონია, უბრალოდ დამოუკიდებლად აზროვნების, ან ნააზრევის გადმოცემის გეშინიათ (ერთმანეთშიც კი!), ვაითუ ავანტიურისტი სააკაშვილის „პატრონებს“ არ მოეწონოთ ეს თქვენი ნაფიქრალი!.. დიახ, ასეა ეს, არა მგონია, ვცდებოდე!! ბატონებო, დროულად განთავისუფლდით ამ შიშებისგან!.. მოკლედ, 42 კონგრესმენი კი არა, მთელმა კონგრესმა სრული შემადგენლობით და პლუს სენატმაც რომ მოითხოვოს საქართველოსთვის მაპ-ის მიცემა, ეს, როგორც ზევით აღვნიშნე, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის და ვერ იქნება საკმარისი, რადგანაც გერმანიის „ერთ“ კანცლერს და საფრანგეთის „ერთ“ პრეზიდენტს შეუძლიათ დაბლოკონ ეს ამერიკული ინიციატივა!.. არ დაგავიწყდეთ, რომ დასავლეთ ევროპის ნატოს წევრი თითქმის ყველა სახელმწიფო, – იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, ბელგია და სხვები, როცა გადაწყვეტილებას ღებულობენ (მით უმეტეს, ნატოს გაფართოებაზე), მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია საფრანგეთის და გერმანიის პოზიცია, ისინი, როგორც წესი, ამ ორი დიდი სახელმწიფოს სტრატეგიულ ხედვას იზიარებენ განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში!.. გერმანიას და საფრანგეთს კი, თუ რა ურთიერთობა აქვთ რუსეთთან, ამაზე აღარ შეგაწყენთ თავს, იმედია, რომ ეს კარგად იცით!..

გადავიდეთ მეორე „ნიუსზე“ – პუტინის რეპლიკა და ქართული ისტებლიშმენტის რეაქცია... აქ ხომ, ადეკვატურ რეაგირებაზე საუბარიც კი ზედმეტია, ხელისუფლება მყავს მხედველობაში!.. გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა, რომელმაც მზაობა განაცხადა პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაზე და ეს მისი რეაქცია ყველაზე სწორი პასუხი იყო, რუსეთის პრეზიდენტის მიერ სოჭში გაკეთებულ რეპლიკაზე!.. ხოლო, „ნაცებს“ აზრი არც მოეკითხებათ, მათ ტერიტორიულად დაანაწევრეს და დაღუპვის პირას მიიყვანეს ქვეყანა და მინიმუმ, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, თუ ჩვენ მართლა დემოკრატიულ და სამართლიან სახელმწიფოს ვაშენებთ!..

შეგახსენებთ, რომ სოჭში ქართველი ჟურნალისტის დასმულ კითხვაზე, შეხვდება თუ არა საქართველოს პრეზიდენტს, პუტინმა უპასუხა, – „თუ მას სურვილი ექნება, რატომაც არაო“. სრულიად განსხვავებული კომენტარები გააკეთეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის სხვადასხვა წევრებმა, რომლებიც თვლიან, რომ – თურმე „ასეთი შეხვედრის მომზადებას დიდი დრო დაჭირდება“, და მას „აუცილებლად შედეგი უნდა მოჰყვეს, აბა ისე რა აზრი აქვსო“, ჩვენთვის „მიუღებელია შეხვედრა შეხვედრისთვისო“, მოკლედ, ლამის ამ პირველივე შეხვედრიდან „რუსეთის მხრიდან დეოკუპაციის დაწყებას“ ითხოვენ და ა.შ... რა თქმა უნდა, ასეთი განცხადებები „კარგად ისმინება“, მაგრამ, განა არ იცით, რომ ამ ურთულეს საკითხთან მიმართებაში, ბანალური „პოლიტჭეშმარიტებების ქადაგებით“ შედეგი როგორც არ გვაქვს დღეს, ისევე არ გვექნება ხვალ?!.. მოკლედ, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რაღაც შეშინებულები ჩანან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, როცა ქვეყნის საგარეო კურსზე, მის გამთლიანებაზე და რუსეთთან ურთიერთობაზე მსჯელობენ!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მზაობა განაცხადა პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაზე და ეს მისი რეაქცია ყველაზე სწორი პასუხი იყო, რუსეთის პრეზიდენტის მიერ სოჭში გაკეთებულ რეპლიკაზე!.. ხოლო, „ნაცებს“ აზრი არც მოეკითხებათ, მათ ტერიტორიულად დაანაწევრეს და დაღუპვის პირას მიიყვანეს ქვეყანა და მინიმუმ, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, თუ ჩვენ მართლა დემოკრატიულ და სამართლიან სახელმწიფოს ვაშენებთ!..

დიახ, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტ პუტინს რომ ეთქვა, არ შევხვდები საქართველოს პირველ პირს, არ მაქვს ამის სურვილიო, თბილისში უფრო გაუხარდებოდათ?! ვიდრე ის, რაც მან თქვა, თუ სურვილი აქვს საქართველოს პირველ პირს, მზად ვარ შევხვდეო!.. ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ყველა დაიზაფრა, რანაირი კომენტარი არ მოვისმინეთ... მაგალითად, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ბრძანა, გაავანალიზებთ პუტინის რეპლიკასო...?! კი მაგრამ, უმაღლეს თანამდებობებზე ბრძანდებით და ამ და სხვა მოსალოდნელ ვერსია-ვარიანტებს წინსწრებით თუ არ აანალიზებთ, აბა, რას საქმიანობთ სხვას?!.. მით უმეტეს, რომ აგერ ახლახან, დეკემბერში პუტინმა გამოთქვა მზაობა, რომ სავიზო რეჟიმი გაუქმოს საქართველოსთან და მაშინაც განაცხადა, რომ შეხვედრისთვის მზად არის, თუკი ქართული მხარის სურვილი იქნებაო!..

ჰოდა, გაგვაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, ორ სახელმწიფოს შორის დიპურთიერთობების არქონის პირობებში, სხვანაირად როგორ უნდა გითხრას – მოწინააღმდეგემ, მტერმა, გავისაუბროთ, იქნებ რაღაცა გამოგვივიდესო?!..უკაცრავად და, ქართველებს უფრო გვჭირდება ეს დიალოგი თუ რუსებს?! საქართველოს 20%-ია ოკუპირებული თუ რუსეთის?! რუსეთი უნდა ცდილობდეს ამ შეხვედრის ორგანიზებას თუ საქართველო?! საქართველოს ჰყავს 400 000 დევნილი თუ რუსეთს?! ქართველებს არ გვეუბნება მუდამ დასავლეთი, დაალაგეთ ურთიერთობა რუსებთანო?! აგვისტოს ომის შემდეგ, სააკაშვილი არ ეხვეწებოდა რუსებს, – შევხვდეთ, სადაც გინდათ ყოველგვარი წინაპირობების გარეშეო?! ჰოდა, თქვენ რაღა მოგივიდათ, რომ ლამის წინაპირობების დაყენებამ გაიჟღერა მარგველაშვილის კომენტარში?! იქნებ, ჩაშლა გინდათ და კონტაქტს გაურბიხართ?! ან, მარტო გეშინიათ შეხვედრა, „ვიღაცებმა“ რომ არ იეჭვიანონ თქვენზე?!

აბა, რა გეგონათ ბატონებო? საქართველოს მართვა-პატრონობა ადვილი არ არის და თავგანწირვას მოითხოვს!.. ჩვენი თავდადებული ქართველი მეფეები ზღაპრების პერსონაჟები კი არ არიან!!..

გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთთან დიპურთიერთობა გაწყვეტილია და სამთავრობო თუ საპარლამენტო დონეზე ჩვენს ქვეყნებს შორის არანაირი კავშირები არ არის, გარდა აბაშიძე-კარასინის ფორმატისა, მიზანშეწონილი და ყოველმხრივ მისაღები იქნება, რომ პირველი შეხვედრა რუსეთისა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას შორის გაიმართოს მესამე, ანუ ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე... მაგრამ, საქმე ის არის, რომ ოლიმპიურ სოჭში პუტინის ამ „რეპლიკამ“ არასტანდარტული სიტუაცია შექმნა, რომელიც სწრაფ ანალიზს და ოპერატიულ პოლიტიკურ მოქმედებას მოითხოვს, კარგად გათვლილი ტაქტიკური სქემის მიხედვით!.. დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად და რა გარემოში მოხდება ეს პირველი კონტაქტი პირველ პირებს შორის, ხანგრძლივი, 6-წლიანი გაწყვეტილი კავშირების და უაღრესად დაძაბული პერიოდის შემდეგ, რომელიც არც დღეს არის განმუხტული!..

პრეზიდენტ პუტინის რეპლიკის („წამოცდენა“ გამორიცხულია!) „თარგმნას“ და დეტალურ განხილვას არ შევუდგები, მაგრამ მისი ეს რეპლიკა „მიპატიჟებას“ ჰგავდა და სწორედ ოლიმპიადის დღეებში!.. ვფიქრობ, რომ ჩვენთვის მისაღები ქალაქია სოჭი, იგი ქართველებისთვის ბევრად უფრო „მშობლიურია“, ვიდრე მოსკოვი ან პეტერბურგი!.. მიმაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა საქართველოს და რუსეთის პირველი პირების შეხვედრისათვის შეიძლება დიდი ხნის მანძილზე აღარც გამოჩნდეს! ვინაიდან, პრესტიჟის და ღირსების შელახვის მომიზეზებით, კიდევ ხანგრძლივი დროით გაიჭიმება ასეთი შეხვედრის ორგანიზება!

ამიტომ, პრეზიდენტ პუტინის „რეპლიკა-მიპატიჟებას“, ქართულმა მხარემ უნდა უპასუხოს შემდეგნაირად: საქართველოს პირველი პირები – პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი (თუ, რუსეთის პრემიერი მედვედევიც მიიღებს მონაწილეობას შეხვედრაში), მოკლევადიანი (1 დღე, 12 საათი), არაოფიციალური გაცნობითი ვიზიტით ჩავიდნენ ქ.სოჭში!.. რადგანაც, რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭში ეს ვიზიტი არაოფიციალური უნდა იყოს, საქართველოს დელეგაციის წინადადება იქნება მასპინძლებისადმი, რომ რუსულ-ქართული მცირერიცხოვანი დელეგაციების შეხვედრა გაიმართოს, ქ.სოჭის ზონაში შემავალი ქართველებით დასახლებულ სოფელ პლასტუნკაში, იქ მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის ტერიტორიაზე!.. ეს ლოგიკურიცაა, რადგან დღეს საქართველოსა და რუსეთს მხოლოდ მათი ეკლესიები აკავშირებს და საქართველოს მართლმადიდებელ და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული კარგი ურთიერთობები ყველასთვის ცნობილია. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსეთის ეკლესია ცნობს საქართველოს ეკლესიის კანონიკური საზღვრების მთლიანობას და ურღვევობას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, განსხვავებით რუსეთის სახელმწიფოსგან, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის!..

მიმაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი შეხვედრა ქართველ და რუს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის, მართებული იქნება თუ გაიმართება ქართველი და რუსი სასულიერო პირების მონაწილეობით!.. დიახ, ეს „ფორმატი“ საშუალებას იძლევა, რომ მაქსიმალურად უშუალო (და თუ გნებავთ), გულწრფელ ვითარებაში, რუსებმაც და ქართველებმაც „დაგროვებული სათქმელი“ უთხრან ერთმანეთს... ერთიც, კადნიერებაში და ფარისევლობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ – სოფელ პლასტუნკის, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში ქართველი და რუსი ეპისკოპოსების მიერ გადახდილი ერთობლივი პანაშვიდიც აგვისტოს ომში (და არამარტო) დაღუპული ქართველი და რუსი ახალგაზრდების სულების საოხად, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის (დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ეს არ ეხება!) სინანულის, მონანიების, პატიების, ურთიერთშენდობის და ქართულ-რუსული ახალი ურთიერთობების დასაწყისად შეიძლება გადაიქცეს, რაც საფუძველი გახდება საქართველოს გამთლიანებისა, აფხაზ და ოს თანამემამულეებთან შერიგებისა და თანაცხოვრებისა – ერთიან საქართველოში!!.. კარგი იქნება, თუ აბაშიძე-კარასინიც დაესწრებიან ამ შეხვედრას და პირველი პირები მოისმენენ მათთგან გარკვეულ ანგარიშს, ეს რამდენადმე დადებით მუხტს შეიტანს და საქმიან ვითარებას შექმნის, რასაც დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, სანამ პირველი პირები ერთმანეთთან უშუალო პირდაპირ ურთიერთობებს ააწყობენ... სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და აღარ მოვყვები იმას, თუ რა, როგორ, რატომ და ა.შ. ქართულ-რუსული სხვადასხვა ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს და რამდენად მნიშვნელოვანია ახლო მომავლისთვის ეს პირველი შეხვედრა უმაღლეს დონეზე!..



ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

მაიდანზე ძალიან ბევრი სისხლი, ტკივილი და სიძულვილია

„გაიღვიძეთ!“ — უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ს და ევროკავშირს ამ სიტყვებით მიმართავს. ვლადიმერ ოგრიზკოს თქმით, უკვე თითქმის სამი თვეა, უკრაინელი ხალხი თავისუფლების, დემოკრატიის, საკუთარი ღირსების უფლებას იცავს, რასაც სისხლი მოჰყვა. ასეთ პირობებში „ჩაურევლობის პოლიტიკა“ ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან გამოიყურება, როგორც თვალხილული ღალატი. მანვე უკრაინული გოლოდომორის 1932-1933 წლები გაიხსენა, როცა ევროპელებისა და ამერიკელების წინაპრები ანალოგიურად დუმდნენ...

„თქვენი პოლიტიკოსები მშვენიერ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებისა და კრემლისთვის ეს ცარიელი ხმაა. მათ მხოლოდ ძალის ენა და რეალური მოქმედებები შეუძლიათ გაიგონ. ისინი უკრაინელების წამებას გააგრძელებენ, მაგრამ იქნებ, თქვენ სწორედ ამისკენ ისწრაფვით?“ — აცხადებს უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ინტერესდება, იქნებ, ევროკავშირსა და ამერიკას უკვე სხვა ღირებულებები აქვთ?! იქნებ, მათ საიდუმლო მოლაპარაკებები აქვთ მოსკოვთან უკრაინაზე პროტექტორატის თაობაზე?

პრესაში უკვე ვრცელდება პუბლიკაციები, რომ მაიდნის სისხლიან ღამეს, იანუკოვიჩს უცილობლად მოინახულებდა კადაფის აჩრდილი. სწორედ მისი ბედისწერა უნდა ედგას თვალწინ თანამედროვე დიქტატორს. ბოლო მონაცემებით, გუშინ შუადღიდან კიევში განვითარებულ მოვლენებს 25 ადამიანი ემსხვერპლა, ასობით ადამიანი კი დასახიჩრდა.

უკრაინელი ხალხის ტრაგედიის პარალელურად, გააქტიურდნენ ნაციონალებიც — მიხეილ სააკაშვილმა დაასკვნა, რომ ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში დემონსტრაციის სისხლიან დარბევაზე უფლება 2 მილიარდად იყიდა და არც ერთი ხელისუფლება არ ღირს იმად, რომ მას ჩაებღაუჭო, ესროლო საკუთარ ხალხს. ამის სიმბოლოდ მან საკუთარი თავი გაიხსენა, როცა საქართველოში ქუჩის აქციებისას გადადგა, თუმცა, სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია, რატომ იღვრებოდა სისხლი რუსთაველის გამზირზე ყოველი მსხვილმასშტაბიანი აქციისას.

უკრაინელი გმირი ხალხის შემხედვარე, ტელეიმედის ყოფილ დირექტორს გიორგი არველაძეს „იმიტირებული ქრონიკა“ გაახსენდა და არ დამალა „მრცხვენია, რომ იმ ერის შვილი ვარ, რომელიც „იმიტირებულ ქრონიკაზე“ ეროვნულ პანიკაში ჩავარდა და ფართხაფურთხით გაიქცა სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებისკენ. ცხადია, არც გიორგი არველაძეს დაუკონკრეტებია, ქართველი ხალხის ნაცვლად, სინამდვილეში, ვინ ჩავარდა „ეროვნულ პანიკაში“ და რამ ათქმევინა პოეტ გიზო ნიშნიანიძეს, ნაციონალების შემხედვარე წითელი ხიდიც კი გაწითლდებოდა, ისე უკანმოუხედავად გარბოდნენ ამ ხიდის გავლით აგვისტოს ომის დროსო.

როგორ აფასებენ ევრომაიდნის „რევოლუციას“ ქართველი ექსპერტები? რატომ ცდილობს უკრაინული მოვლენებისგან დისტანცირებას პუტინი და რატომ არ აპირებს იანუკოვიჩისთვის რჩევის მიცემას? რატომ მიიჩნევს ჟირინოვსკი, რომ უკრაინას მხოლოდ გაყოფა გადაარჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლიანი დაპირისპირებები ყოველ 2-3 წელიწადში განმეორდება.

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძისთვის უცნაურია ევროპის პოზიცია და ქალბატონი ეშტონის განცხადება, რომ თურმე ის მშვიდად დაელოდება, როდის მოაწერს უკრაინა ხელს ასოცირების ხელშეკრულებას. For.ge-სთან საუბარში პოლიტოლოგს აინტერესებს, რომელ სიმშვიდეზეა საუბარი, როცა ადამიანები იღუპებიან და მხოლოდ 30 მეტრი ჰყოფს სპეცრაზმ „ბერკუტს“ მომიტინგეებისგან?! პარალელურად, მოხალისეთა რაზმები იქმნება სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში იანუკოვიჩის დასახმარებლად, დასავლეთ უკრაინაში კი ემზადებიან მომიტინგეების დასახმარებლად, ქალაქი ჩაკეტილია და მიტინგის დარბევაზე აღარც არის საუბარი, არამედ საუბარია, რომ ეს უკვე კლასიკური სამოქალაქო ომია.

პოლიტოლოგის აზრით, თუ ევროპამ და ვაშინგტონმა მკვეთრი პოლიტიკა დაიკავეს (და არა ისეთი, როგორც 1956 წელს უნგრეთთან დაკავშირებით), მაშინ იანუკოვიჩი დათმობაზე წავა, ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, შემოიღებს 2004 წლის კონსტიტუციას. თუ არადა, დნეპროპეტროვსკის სამხედრო-საპარაშუტო დივიზიის ნაწილის 160 მებრძოლი უკრაინაში ჩავა მშვიდობიანი დაწესებულებების „დასაცავად“.

„საყურადღებოა, რომ რუსულ პრესაში ტერმინი „მაიდანი“ უკვე გაქრა, მხოლოდ „თავისუფლების მოედანს“ აცხადებენ, რადგან „მაიდანი“ უკვე საკრალურ ცნებად გადაიქცა. იანუკოვიჩის ოპერაციას მოსკოვმა მისცა ფორმულირება - „ანტიტერორისტული ოპერაცია“. ამით ყველაფერია ნათქვამი. რაც ხდება უკრაინაში, ეს საქართველოსთვის საჩუქარი არ არის, სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ალბათ, შედეგს მომავალ კვირას ვიხილავთ. ამ კვირაში შეიძლება, შეთანხმდნენ კლიჩკო და იანუკოვიჩი, მაგრამ იანუკოვიჩი პრინციპზე დგას და ზავზე თანახმა არაა, სანამ მაიდანს მომიტინგეები არ დატოვებენ. თავის მხრივ, იანუკოვიჩის მიერ შეთავაზებულ კაპიტულაციას თუ დათანხდება შეიარაღებული ოპოზიცია, მაშინ ისინი დამარცხდებიან“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

უკრაინული მოვლენებისგან პუტინის დისტანცირების შესახებ პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ პუტინი დღეს ყველაფერს აკეთებს, დასავლეთმა არ ჩააშხამოს სოჭის ოლიმპიადა. უფრო მეტიც, პუტინი სულელი არ არის, ის არ გაიშიფრება და ასე ღიად იანუკოვიჩის გვერდით არ დადგება, მაგრამ, როგორც კი სერიოზული მოლაპარაკება დაიწყება მშვიდობის აღდგენაზე, პუტინი მაშინ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას. თუმცა, პუტინის სათქმელს ამბობენ დუმის დეპუტატები, ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის შემოღებას ითხოვენ.

გიორგი არველაძის მიერ ნახსენებ „მოდელირებულ ქრონიკასთან“ დაკავშირებით, რასაც საქართველოში პანიკა მოჰყვა და ერთი ხანდაზმული ადამიანიც ემსხვერპლა, სოსო ცინცაძე უტაქტობად მიიჩნევს იმაზე საუბარს, ვინ უფრო მებრძოლია — დასავლეთ უკრაინელები თუ ქართველები, თუმცა, მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გადადგომა აქ არაფერ შუაში არ არის. სააკაშვილი მაშინ გადადგა, როცა მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანია ეწარმოებინა გამარჯვების შანსით. მისგან განსხვავებით, დღეს რომ იანუკოვიჩი გადადგეს, მას აღარაფრის შანსი არ ექნება. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო ომი მთელი თავისი სიძლიერით გაჩაღდება, ყირიმი უკრაინიდან გასვლით იმუქრება, აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებული რაზმები ნიშანს ელოდებიან, რომ შეცვივდნენ დასავლეთ უკრაინაში, ლვოვში პროკურატურა დაარბიეს, იარაღი გაიტაცეს, დასავლეთ უკრაინაში ხელახლა დაიწყეს შეიარაღებულმა პირებმა შენობების დაკავება.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სოსო ცინცაძე უკეთესად მიიჩნევს, იანუკოვიჩი დარჩეს პრეზიდენტად, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები და შეთანხმებას მიაღწიოს ოპოზიციასთან. მით უფრო, რომ თვითონ ოპოზიციაშიც არ არის დალაგებული სიტუაცია და სახიფათოა, რომ თვითონვე არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ საქართველოსთვის ძალზე ნაცნობი და მტკივნეული სცენები ვიხილეთ კიევში. ოპოზიციას საქართველოში ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები დააბრალეს, კიევში კი რეალური მოლოტოვის კოქტეილები და მსხვერპლი იყო, მათ შორის, დაიღუპნენ სამართალდამცავებიც. ექსპერტის თქმით, რა თქმა უნდა, იანუკოვიჩის ხელისუფლება ყველა დემოკრატიულ ზღვარს გასცდა, მაგრამ ის, რა მეთოდითაც იმართება დღეს მაიდანი, შორს არის მშვიდობიანი დემოკრატიული პროცესისგან.

„მეჩვენება, რომ ოპოზიციის ლიდერებმა უკვე დაკარგეს კომუნიკაცია ე.წ. მაიდანთან. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსს არ შეიძლება აწყობდეს ის, რაც ხდება მაიდანზე. ისინი აღარ არიან რეალური ლიდერები და ყველაფერი სტიქიურ ხასიათს იძენს. უკრაინის შიგნით აღარ წყდება ქვეყნის ბედი. უკრაინის ორ ნაწილად გახლეჩვის რისკი ძალზე მაღალია. მე ვფიქრობ, დასავლეთი თავშეკავებულია ზუსტად იმიტომ, რომ ხედავს ორმხრივ აგრესიას. პირველ ეტაპზე, როცა ყველაფერი მშვიდობიანად იყო, პრინციპული პოზიცია ჰქონდა დასავლეთს, მაგრამ ახლა სიტუაცია კონტროლიდან გამოსულია, ამიტომ დასავლეთი უკვე აკრიტიკებს ორივე მხარეს, რაც შემაშფოთებელი სიგნალია უკრაინული ოპოზიციისთვის. არ ვისურვებდი, შეთანხმება მოხდეს უკრაინის საზღვრებს გარეთ, რისი შანსიც დღეს მაღალია, რომ გლობალურ მოთამაშეებს შორის ამ ქვეყნის შეთანხმებულად გაყოფა მოხდება. ამას უკრაინის ყველა პოლიტიკოსი უნდა ფიქრობდეს, როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი არველაძის განცხადებებს, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს არის უტიფარი კომენტარები უტიფარი ადამიანების მხრიდან. მას ახსოვს, როდის და როგორ გადადგა მიხეილ სააკაშვილი, რა სისასტიკე უძღოდა ამ ყველაფერს და ამ ე.წ. გადადგომით როგორ გაიხანგრძლივა თავისი პრეზიდენტობა.

„ის თავის სტილშია. 8 ნოემბერს რომ გადამდგარიყო, კი ბატონო, კიდევ დავიჯერებდით, რომ თურმე ხელისუფლებას არ ებღაუჭებოდა, მაგრამ იგი 8 ნოემბერს არ გადამდგარა“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

მანანა ნოზაძე

მადლიერი ადამიანები მისხალ სიკეთესაც ამჩნევენ, უმადურები კი რიყეზე ქვასაც ვერ ხედავენ...

◎ სარედაქციო ფოსტიდან

მადლობა

კლინიკას – „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები“ და მის ხელმძღვანელს პროფესორ გურამ ქარაზანაშვილს!

გასული წლის ზაფხულში მამას უროლოგიური პრობლემები შეექმნა. მკურნალი ექიმის არჩევის გადაწყვეტილება მე ავიღე ჩემს თავზე, როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენელმა ოჯახის სხვა წევრებს შორის. ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, მამა მივიყვანე ქალაქში ერთ-ერთ წამყვან ექიმ-უროლოგ გურამ ქარაზანაშვილთან. გამოკვლევებით დადგინდა წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი, რაც საკმაოდ მოულოდნელი და სტრესული აღმოჩნდა ჩემთვის, მით უფრო, რომ იმ მომენტისთვის ბატონი გურამი ქალაქში არ იმყოფებოდა. კვლევების პასუხები მას ელექტრონული ფოსტით მოვაწოდე, პასუხი მყისიერი აღმოჩნდა – „პრობლემა მოგვარებადია, მამა კარგად იქნება.“

მართლაც ბატონ გურამის ქალაქში დაბრუნების შემდეგ დაიგეგმა და გაკეთდა ურთულესი ოპერაცია, რომელმაც აბსოლუტურად წარმატებით, გართულებების გარეშე ჩაიარა ქირურგის მაღალი კვალიფიკაციის წყალობით.

დღეს მამა სამსახურს და საზოგადოებას დაუბრუნდა მისთვის ჩვეული ენერგიულობით და დატვირთული დღის რეჟიმით.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მისი კლინიკის გუნდი გულისხმიერებით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა. პალატის ექიმი ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტი გამოდგა, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა მამას. ბატონი გურამის მხარდაჭერა დამწყები სპეციალისტების და მთლიანად გუნდის მიმართ ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა.

დიდ გულითად მადლობას ვუხდი გურამ ქარაზანაშვილს მამის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ქართულ მედიცინას კი ვუსურვებ მრავლად ჰყავდეს მისი მსგავსი პროფესიონალი, გულისხმიერი ექიმები და თანამედროვე კლინიკების კარგი მენეჯერები!

პატივისცემით
თამარ თოდუა,
2014 წელი.

როცა დამანგრეველი ქარი იწყებს ქროლას...

პატივცემულო რედაქცია,

მადლობა მინდა მოგახსენოთ მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულებისათვის. მხედველობაში მაქვს ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის გამოაშკარავება. ეს რომ ყვითელი პრესისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სკანდალური და ამასთან, მკითხველისთვის თავშესაქცევი ისტორია იყოს, გარწმუნებთ არ შეგაწუხებდით. ასეთი სახის პუბლიკაციებს მსოფლიოში და, ცხადია, ჩვენშიც ჰყავს შესაბამისი ინტერესებისა და გემოვნების მქონე მკითხველი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქმე შეეხება ადამიანთა სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ და საზოგადოებისთვის საშიშ მოვლენას. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. ბატონი გურამ ქარაზანაშვილის პროფესიონალიზმსა და დღეისათვის უნიკალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს არა მხოლოდ სერტიფიკატები, არამედ მის მიერ ჩატარებული ოპერაციების ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებელი. ეს ფაქტია და მისი ოპონენტები (თუ კონკურენტები?) ამას ვერსად წაუვლენ.

მე გულის სიღრმემდე შემძრა სულ სხვა ვითარებამ. კერძოდ: 1. სხვისი გასაჭირით ასეთმა დაუნდობელმა მანიპულირებამ და გასართობი სანახაობის მოწყობამ. გულწრფელად თანავუგრძნობ დაზარალებულ პაციენტებს და მივმართავ მათ – იქნებ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. ზოგჯერ ხომ სასწაულებიც ხდება; 2. არაადამიანურმა დამოკიდებულებამ ქირურგის მიმართ, რომელმაც, შესაძლოა, სულიერად ან ფიზიკურად ვერ გაუძლოს ამდენ შეურაცხყოფას და **ცილისწამებას**. **დიახ, ცილისწამებას. დაბეჯითებით და თამამად ვიმეორებ ამას, ვინაიდან პირადად ვარ მომსწრე და უშუალო მონაწილე იმისა, რომ პრესტიჟულ კლინიკაში ჩატარებული ოპერაციის შემდგომ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს, რომელსაც გადარჩენის არანაირ იმედს არ აძლევდნენ, ბატონმა გურამ ქარაზანაშვილმა გაუკეთა ურთულესი ოპერაცია და იგი დღეს ცოცხალია;** 3. „ასავალ-დასავალის“ კარიკატურებიან სერიაში გაჩნდა წაქეზება და უფრო მეტიც – პირდაპირი მოწოდება დაზარალებული პაციენტებისადმი შეიჭრან კლინიკაში, ჩაუსაფრდნენ და თავს დაესხან ქირურგს. ეს წაქეზება, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს როგორც მსხვერპლის, ასევე თავდამსხმელისათვისაც. სამაგიეროდ, კარიკატურები დრამატიზმს შეიძენს. ბევრ კლინიკას კი სერიოზული კონკურენტი მოაკლდება. ღმერთმა დაგვიფაროს! დანაშაულის პრევენციაზე, ვფიქრობ, არა მხოლოდ სერიოზული გაზეთის რედაქცია უნდა ზრუნავდეს.

როგორც ამ ქვეყნის შვილი, რიგითი ქართველი, კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას და მოკრძალებულად ვთხოვ გამოაქვეყნოს ჩემი წერილი.

„როცა დამანგრეველი ქარი იწყებს ქროლას, კედელს კი ნუ აღმართავ, ქარის წისქვილი დადგი. ეს უძველესი ჩინური მაქსიმა შემთხვევით არ გამახსენდა. ვინც თანამედროვეობის დიდ ქართველ კომპოზიტორს იოსებ კეჭაყმაძეს იცნობდა, უმალ მიმიხვდება სათქმელს. ეს მისი საყვარელი მაქსიმა იყო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მას პირადად არასოდეს დაუდგამს ქარის წისქვილი – არც მაშინ, როცა ამ უნიკალური შემოქმედებითი და აკადემიური მონაცემებით დაჯილდოებულ მუსიკოსს დაატოვებინეს კონსერვატორია და არც მაშინ, როცა კულტურის სამინისტროში მუშაობის უზარმაზარი გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელსაც მუსიკალური ხელოვნების საკითხებში მინისტრის მრჩევლის თანამდებობა ეკავა წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების დროს, რჩევას არ ეკითხებოდნენ (სამაგიეროდ, ეკითხებოდნენ ერთ კონკრეტულ ადამიანს, რომლისთვისაც მტკიცდებოდა სფეროში ყველაზე დიდი ბიუჯეტი, პირადად მისთვის იქმნებოდა კანონმდებლობა, ის იყო და არის ფაქტობრივი დამკვეთიც, დაკვეთის შემსრულებელიც, არა თუ საკუთარ დაწესებულებაში, „საკუთარ სისტემაში“ საკადრო პოლიტიკის განმსაზღვრელიც, მაკონტროლებელიც, მოკლედ, ერთი კონკრეტული სფეროს მეფე). ის კი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მოთმინებით ელოდა, როდის იხმობდა საკუთარ მრჩეველს ახალი მინისტრი. ბატონი სოსო, ისევე, როგორც მისი საყვარელი ჩინური მაქსიმა, შემთხვევით არ გამხსენებია. მუსიკალურ სამყაროში ის ძალზე დიდი ფიგურა იყო. ასე განსაჯეთ, იყო განსაკუთრებული, სრულიად გამორჩეული. შეგეძლოს ახალი სიტყვა თქვა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის იმ სფეროში, რასაც ქართული მრავალხმიანობა და საგუნდო ხელოვნება ჰქვია, რჩეულთა ხვედრია. სწორედ ამიტომ, იოსებ კეჭაყმაძე იმ ავადსახსენებელი მონოპოლიზმის მარწუხებში მოექცა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი ქვეყნის წინსვლის ყველაზე შემაფერხებელი სენია და მე მას ბობოლიზმს ვუწოდებ. ბობოლიზმი ყველგან, ყველა სფეროში ნორმალური, ჯანსაღი, განვითარებისთვის აუცილებელი კონკურენციის საპირისპიროდ – აი, ჩვენი უბედურების სათავე. ჩვენი ერის ამ მანკიერ მხარეზე ბევრს წერდნენ დიდი მამულიშვილები. მკითხველს კარგად ახსოვს ტკივილით ნათქვამი ეს სიტყვები, აქვე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შური და სწრაფვა ერთპიროვნული ბატონობისაკენ კაცობრიობის უძველესი სენია და სულაც არ წარმოადგენს ე.წ. ქართულ მოვლენას. საბედნიეროდ და საამაყოდ, ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც გენეტიკურად აქვს თვითშეფასების უმკაცრესი და ძალზე კრიტიკული პარამეტრები. ამის თქმის საფუძველს მაძლევს დოკუმენტური მასალა, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, ქართულ ხალხურსა და პროფესიულ ხელოვნებას, ლექსიკას და ა.შ. ქართველი საზოგადოება შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, თუ მის წიაღში უმსგავსობას აქვს ადგილი (საკმარისია, გავიხსენოთ საპატიმროების შემზარავი ფაქტების გასაჯაროვება, რასაც მოჰყვა კიდეც ხელისუფლების რადიკალური ცვლილება“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ, დროითი დისტანციის უქონლობის გამო, ვუშვებთ საბედისწერო შეცდომებს. დროულად არ ვრეაგირებთ, არ ვიღებთ ხმას, არ ვმოქმედებთ უსამართლობისა და უზნეობის წინააღმდეგ.

ერთი საეჭვოდ მიზანმიმართული სახელგამტეხი კამპანიის გამო

ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტისა თუ მოვლენის შეფასება მართლაც საჭიროებს დროით დისტანციას. ამ მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის შემთხვევაში კი, უკვე დადგა დრო, როცა საზოგადოებამ თავის თავზე უნდა აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა ზიანის მომტანი შედეგების თავიდან ასაცილებლად. და თუ პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი – დღეისათვის ერთადერთი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში – აკეთებს გარკვეული მიმართულების ოპერაციებს, იქნებ ხვალ სხვებმა კიდევ უფრო დიდ სიმაღლეებს მიაღწიონ? რატომ უნდა იყოს ეს ქილიკის საგანი?! მომიტოვოს მკითხველმა, თუ დიდაქტიკას ვერ გავექეცი, მაგრამ არ შემიძლია, არ გავიხსენო დავითის ფსალმუნი იმის თაობაზე, რომ ყოველი კაცი ცრუ არს. ჩვეულებრივი მოკვდავნი ვერ ვწვდებით ჭეშმარიტებას. ყველა პროფესიის ადამიანს თან სდევს საფრთხეები: დაუდევრობა, არასაკმარისი პროფესიონალიზმი, საბედისწერო შეცდომა და ა.შ. მაგრამ ღვთის ნებას ვერავინ გაექცევა. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება კლინიკასთან „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები“, არ გამოეპარებოდა ის ფაქტი, რომ ბატონი გურამი თანაგუნდეელებთან ერთად ოპერაციისთვის საგულდაგულოდ ამზადებს პაციენტს მრავალმხრივი გამოკვლევებით და თავადაც ემზადება... ხატებთან დაჩოქილი.

ძალიან დიდი სურვილის მიუხედავად, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ დავახასიათო, აღვწერო ან შევაფასო ბატონ გურამ ქარაზანაშვილის კლინიკის საქმიანობა, თუმცა, ამის საჭიროება, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე, აშკარად გამოიკვეთა. ეს კი, პროფესიონალების საქმეა. ამიტომ მე მოვუწოდებ კლინიკის მთელ სამედიცინო პერსონალს დეტალურად გააცნოს საზოგადოებას ის ურთულესი და ხშირად – უნიკალური ოპერაციები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება მათ კლინიკაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ამის შესახებ. ვფიქრობ, კლინიკამ უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი ინტერესი და მასმედიის საშუალებით სისტემატურად გააშუქოს მათი საქმიანობა.

აი, ეს გახლავთ სწორედ ის ძარის წისქვილი, რომელიც კეთილ საძმეს გაპკეთებს“.

ლია გუაძე,
ხელოვნებათმცოდნე

◎ სუვერენული ფონდი

ქვეყნის შენებას უნდა თუ უნდა

საძმიან წრეებში დიდად ავტორიტეტულმა და გავლენიანმა გამოცემამ „ეკონომისტმა“ თავის წლის დამაჯამებელ ჟურნალ „The world in 2014“ („მსოფლიო 2014“) საქართველოს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის საავტორო სტატია „საპარტნიორო ფონდიდან სუვერენულ ფონდამდე“ დაბეჭდა.

მასში, კერძოდ, ლაპარაკია წლეულს ფონდის მოღვაწეობის გეგმებსა და პრიორიტეტებზე. ფონდის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, სუვერენული ფონდის საქმიანობის პრიორიტეტებად 2014 წელს, ისევე, როგორც შარშან, კვლავ **ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა იქნება.**

სტატიის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში შარშანდელ ეკონომიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 2012 წლის პარლამენტის და 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებმა. **„იმის გათვალისწინებით, რომ საპარტნიორო ფონდის მთავარი ამოცანა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში კერძო ინვესტიციების ხელშეწყობაა, 2013 წლის განმავლობაში ფონდი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა, როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების, ასევე ინვესტორების დაინტერესებისა და ახალი პროექტების დაწყების მიმართულებით. 2013 წელს საპარტნიორო ფონდს სტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები, რომლებიც ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებს გაეცნენ“.** ბატონ ირაკლი კოვზანაძის თქმით, ყოველივე ამის შედეგად, ქართულ მხარეს იმის საფუძვლიანი მოლოდინი აქვს, რომ უახლოეს მომავალში, ანუ წელსვე საქართველოში რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტის განხორციელება დაიწყება. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ 2014 წელი სამამულო ეკონომიკისთვის შარშანდელზე გაცილებით აქტიური, შესაბამისად, უფრო მეტად წარმატებული იქნება, რის საფუძველს სტაბილური, სავსებით პროგნოზს დაქვემდებარებული პოლიტიკური ფონი და მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები იძლევა, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ნაკადის გაძლიერების სოლიდური იმპულსია. პრიორიტეტებზე ლაპარაკისას, ავტორი ერთ-ერთ მათგანს, **ენერგეტიკას** ეხება, რა სფეროშიც საპარტნიორო ფონდი რამდენიმე დიდი პროექტის ხელშეწყობას გეგმავს. კერძოდ, ლაპარაკია ენერგეტიკის სფეროში თურქეთის ერთ-ერთ უდიდეს „ჩალიქ ენერჯისთან“ გარდაბანში თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომლის პროექტი ბოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის, ანუ დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში უპრეცედენტოა. შერეული ციკლის თბოელექტროსადგური, რომლის დაგეგმილი სიმძლავრე 230 მეგავატი იქნება. პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 220 მილიონი დოლარია და მას საქართველოს საპარტნიორო ფონდი და მისი შვილეული კომპანია „საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია“ ერთობლივად დააფინანსებენ.

გარდა აღნიშნულისა, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელობა პოტენციურ ინვესტორებთან ერთად მდ. ენგურის მთავარ შენაკადზე, მდ.ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობას განიხილავს.

ბატონი ირაკლი კოვზანაძე ასევე ხაზს უსვამს საქართველოს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით **საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმროების ფართო ქსელის** გაშლის მნიშვნელობას. დღესდღეობით უკვე დასრულებულია ახალციხეში „ჯინოველნესისა“ და ყვარელში „როიალ ბატონის“ თანამედროვე სასტუმრო კომპლექსების საპროექტო სამუშაოები. გარდა ამისა, ყაზახ ინვესტორებთან ერთად ფონდი ამჟამად აქტიურად მუშაობს ლიკანში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოსის“ პროექტის განხორციელებაზე, რაც 38 მილიონი ლარი დაჯდება.

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის გზაზე საგრძნობი წარმატების მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარებული თანამედროვე **სატრანსპორტო** ინფრასტრუქტურის ქონა, რასაც საპარტნიორო ფონდი დიდ ყურადღებას უთმობს. **„2013 წელს, მთავრობის განკარგულებით, ფონდს დაევალა შავი ზღვისპირეთში სატვირთო ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციის მომზადება, რომელშიც საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული კონკრეტული უპირატესობები იქნებოდა გამოკვეთილი“,** — აღნიშნავს ბატონი კოვზანაძე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ოთხი სატვირთო ნავსადგურიდან (ბათუმი, ფოთი, ყულევი, სუფსა), უკანასკნელი ორი მხოლოდ თხევადი ტვირთის, კერძოდ, ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის გადაზიდვაზეა ორიენტირებული, ხოლო ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში საკონტეინერო გადაზიდვების არსებული რესურსი, ფაქტობრივად, ამოწურულია, ამ ტიპის გადაზიდვების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით შავ ზღვისპირეთში დღის წესრიგში **ახალი სატვირთო ნავსადგურის აშენების აუცილებლობა დადგა. ახალი ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით მოკლე დროში შესაბამისი კვლევები ჩატარდება, რომელთა შედეგად საბოლოოდ განისაზღვრება, თუ რა იქნება უფრო მიზანშეწონილი — ახალი პროექტის ფრთაშესხმა თუ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გაფართოება და ქვეყნის საკონტეინერო ტვირთბრუნვითი პოტენციალის ამ გზით გაზრდა.**

საქართველოსთვის, როგორც ტრადიციულად **სოფლის მეურნეობის** ქვეყნისთვის, ეროვნული ეკონომიკის ეს მიმართულება ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა თუნდაც იმის გამო, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლად ცხოვრობს და, მიუხედავად იმისა, რომ მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი უსამართლოდ მცირეა, სათანადო ხელშეწყობის პირობებში მას უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ მხრივ, დღესდღეობით უკვე დასრულებულია 10 მილიონი დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტი. კერძოდ, საპარტნიორო ფონდმა კომპანია „გეოაგროსთან“ ერთად სოფელ კოდაში თანამედროვე ტექნოლოგიებით და ევროსტანდარტების შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით გამართული მეღორეობის კომპლექსი ააშენა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მიწურულს კოდის მეღორეობის კომპლექსი ადგილობრივი ბაზრის თითქმის მეოთხედს დააკმაყოფილებს, რამაც წესით და რიგით, სათანადო ასახვა ფასშიც უნდა ჰპოვოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა განსახორციელებელ პროექტში, რომელ დარგშიც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, საქართველოს საპარტნიორო ფონდი მხოლოდ თანაინვესტორის სტატუსით მონაწილეობს, მის წესდებაში კი საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში ფონდი საჭირო კაპიტალდაბანდებაში არაუმეტეს 50-პროცენტიანი წილით მონაწილეობს.

ამრიგად, მიმდინარე წლიდან მოყოლებული სუვერენული ფონდი, რომელსაც მსოფლიოში ამ ტიპის ორგანიზაციების მიერ საქმეში გამოცდილი და საიმედო სტრუქტურა ექნება, ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი უკვე გაიარა. უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობაში შესატან სათანადო ცვლილებათა პაკეტის შემუშავებაში, საქართველოს სამთავრობო ჯგუფთან ერთად ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ამის უპირველესი მიზანი კი უცხოელ ინვესტორთათვის მისი მოღვაწეობის მაქსიმალური გამჭვირვალობის მიღწევა იყო. **ეს, უწინარესად, მას პოტენციური კლიენტების მცირებიუჯეტიანი ინოვაციური პროექტებისადმი ყურადღების მიპყრობას შეუწყობს ხელს,** რაც დიდად მნიშვნელოვანია საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის და რომელთა განსახორციელებლად შიდა სახსრების მოძიება ხშირად საკმაოდ პრობლემურია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის აგვისტოში დაარსებული საპარტნიორო ფონდი იურიდიულად სააქციო საზოგადოებაა. სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების, მათ შორის, სს „საქართველოს რკინიგზის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა“ და ნაწილობრივ „თელასის“ აქციებისგან შემდგარი საპარტნიორო ფონდის მთლიანი კაპიტალი 5 მილიარდ ლარს აღემატება.

◎ ალიან-ჩალიანი

„დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვ“!..

ეს ვარაუდი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ ნინო ჭავჭავაძემ ოთხი საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გამოთქვა.

როგორც მინისტრის მოადგილემ დეპუტატებს აცნობა, დიდების მემორიალის სამარხიდან წეშტების ექსჰუმაციის პროცესი დასრულდა და ბოლო მონაცემებით, 64 ცხედარში 13 არის აფხაზი. მისივე თქმით, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ იქ ქართველი მებრძოლებიც იყვნენ. მისივე თქმით, ბაბუშერას სამარხთან დაკავშირებულ პროცესში, ამოსაცნობი და „დასაბინავებელია“ 58 მებრძოლი.

მინისტრის მოადგილემ აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების წეშტების ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსვენების საკითხებთან დაკავშირებით და ამ თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე პარლამენტის წევრებს შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა: — აფხაზეთში საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხარის მხრიდან დაკარგულია 2 ათასამდე ადამიანი, 200-მდე ადამიანია დაკარგული აფხაზეთის მხრიდან. მათი მოძიება დაიწყო ომის დასრულებისთანავე. ყველაზე აქტიური ასეთ დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მშობლები იყვნენ, რომლებმაც 1993 წელს ფონდი „მოლოდინი“ ჩამოაყალიბეს. 1996 წელს კი შეიქმნა შესაბამისი სახელმწიფო კომისია.

— ფონდისა და კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად 165 ადამიანია გადმოსვენებული აფხაზეთის ტერიტორიიდან. გადმოსვენება ხდებოდა პერიოდულად და მოიცავდა 1994-2001 წლებს. ბოლო გადმოსვენება 2002 წელს განხორციელდა. 2010 წელს ამ მნიშვნელოვან საქმეში „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერთო, რომლის ინიციატივით, საკოორდინაციო ფორმატით, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების გადასაწყვეტად ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები დაიწყო. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, პირველი შეხვედრა 25 იანვარს გაიმართა. ეს ძალიან რთული შეხვედრა იყო, მაგრამ დამთავრდა კარგად, რადგან აფხაზებმა ფორმატის გაფართოება მოითხოვეს და თქვეს, რომ ასეთი მოლაპარაკებები რაც შეიძლება ხშირად უნდა გამართულიყო. მეორე შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ გაიხსნებოდა ორი სამარხი: - სოხუმში, დიდების მემორიალთან არსებული სამარხი, სადაც დასაფლავებული არიან გუმისთიდან გადმოსვენებული მებრძოლები და ასევე ბაბუშერას სამარხი, სადაც დაკრძალულია 1993 წლის 22 სექტემბერს მომხდარი ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მემბრძოლები. იქ სულ 93 მებრძოლი დაიღუპა. მებრძოლთა ნაწილი 1994-2001 წელს ეტაპობრივად გადმოასვენეს. დარჩენილია 35 მებრძოლი. გადმოსვენებულთაგან 14 ამოცნობილი საგვარეულო სასაფლაოებზე გადაასვენეს, დანარჩენი დაკრძალულია დიღმის საძმო სასაფლაოზე. აქედან 21 არის ამოცნობილი, ხოლო 23 — ამოსაცნობი. ამიტომ ახლა ბაბუშერას პროცესში ამოსაცნობი და „დასაბინავებელია“ ჩვენი 58 მებრძოლი. დიდუბის მემორიალის სამარხის ექსჰუმაციები დასრულდა და ბოლო მონაცემებით, 64 ცხედარში 13 არის აფხაზი. დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ იქ ქართველი მებრძოლებიც იყვნენ. თუმცა იცით, რომ ამ სავალალო ომში, სხვა ეროვნების ადამიანებიც იღებდნენ მონაწილეობას, — განაცხადა ნინო ჭავჭავაძემ.

მისივე თქმით, არსებობს 30-მდე სამარხი და გაგრძელდება მუშაობა, ვიდრე ყველა უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომარი, თუ სამოქალაქო პირი არ იქნება ნაპოვნი.

* * *

კომისიის თავმჯდომარის გია ვოლსკის განმარტებით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ბაბუშერას სამარხიდან ქართველი დაღუპული მეომრების ნეშტის გადმოსვენების საკითხზე.

— კომისიამ გუშინ მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, რომელიც ბაბუშერას სამარხიდან ქართველი დაღუპული მებრძოლების ნეშტის გადმოსვენების საკითხს უკავშირდება. ვიცით, რომ მსგავსი სამარხი არის თბილისშიც, სადაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზი მებრძოლები არიან დამარხული. შეთანხმდა ორივე მხარე იმის თაობაზე, რომ უახლოეს პერიოდში სამარხების გახსნის სამუშაოები დაიწყოს და ამით ცოტა შევუმსუბუქოთ იმ დედებს ტკივილი, რომლებიც წლების მანძილზე ატარებდნენ დაღუპული შვილებისა და ახლობლების გამო, — აცხადებს გია ვოლსკი.

ინტერპრესი

ნაციონალებს ციფრი „5“ ცუდად შეემოუბრუნდათ

ვანო მერაბიშვილის მიმართ წარმოებული ათთვიანი სასამართლო პროცესი დასრულებულია. ყოფილ პრემიერს ნაციონალების სიმბოლოდ ქცეული „ნ“ წელი მიესაჯა. მოსამართლე ნათია ბარბაქაძის მიერ გამოტანილ განაჩენს, უმცირესობა პოლიტიკურ ზეწოლად აფასებს, მმართველი ძალა კი, სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს სცემს.

რატომ ჭიანურდება ე.წ. სამართლიანობის აღდგენა? — ამ საკითხზე for.ge ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გედევან ფოფხაძეს ესაუბრა:

— ძუთაისის საქალაქო სასამართლომ ვანო მერაბიშვილს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა, ზურაბ ჭიაბერაშვილს კი 50 ათასი ლარის გირაოს გადახდა დაუწესა. როგორ აფასებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას?

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ მიმაჩნია, რომ სასამართლოზე იყო ზეწოლა. ცხრა წლის მანძილზე, სხვა ბევრი რაღაც ხდებოდა, რაც ვანო მერაბიშვილთან იყო დაკავშირებული. ხდებოდა როგორც ტერორი, ძალადობა, ასევე ფინანსების პარტიული რესურსისთვის გამოყენება. სასამართლომ ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ამ კონკრეტულ ეპიზოდში ცნო, პოლიტიკოსები კი, მას ვადანაშაულებთ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩადენილ გადაცდომებზე, რადგან ის თავის თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებდა და ხელს უწყობდა ნაციონალების მხრიდან ძალაუფლების უზურპაციას. ასევე ახდენდა პოლიტიკური ოპონენტების დევნას და პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ერეოდა. ვანო მერაბიშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა შეფასდეს არა როგორც პოლიტიკოსის საქმე, არამედ თანამდებობის პირის, რომელმაც უფლებამოსილების გამოყენების მხრივ, დანაშაული ჩაიდინა და თუ ეს სასამართლომ დაადასტურა, საკითხის პოლიტიზება აღარ უნდა მოხდეს.

— თუმცა, თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება ხელისუფლების წნეხის ქვეშ მიიღო. გიგი უგულავამ აღნიშნა, რომ „ეს იყო ივანიშვილის შურისძიება მერაბიშვილზე“, ხოლო გიგა ბოკერიამ პოლიტიკურ ზეწოლაზე გაამახვილა ყურადღება...

— გუნდური პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება, აღნიშნულ პირებს მერაბიშვილთან რაიმე ვალდებულება აქვთ, რომ ის უნდა დაიცვან, მაგრამ, თუ გუნდის წევრი დანაშაულს ჩადის და მას გუნდი არ ემიჯნება, მათ პოლიტიკური განცხადებების კეთების გარდა, არაფერი დარჩენიათ. ეს ხომ ის მოსამართლეები არიან, რომლებსაც განაჩენები ნაციონალების დროსაც გამოჰქონდათ და თუ ისინი ჩვენი ზეწოლის ქვეშ ექცევიან, მაშინ ცხრა წლის მანძილზე, ამ ადამიანების მიერ გამოტანილი განაჩენები საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ! როცა ვიღაც ამბობს, რომ მერაბიშვილის მიმართ განაჩენი ზეწოლის შედეგად გამოიტანეს, ეს რითი გავაბათილოთ? ნაციონალები ამბობენ, საქმეები გამოიძიეთ და ბრალი დაგვიმტკიცეთო, მაგრამ თუ დაუმტკიცდათ, მერე გამოდის, რომ განაჩენი ზეწოლის შედეგია? აბა, ობიექტურად როგორ გავასამართლოთ ის ადამიანი, ვინც დანაშაული ჩაიდინა? რა ფორმით უნდა დავარწმუნოთ ბოკერია, რომ მერაბიშვილი დამნაშავეა? თუ ბოკერიას შინაგანი რწმენა აქვს, რომ მერაბიშვილი უდანაშაულოა, მას ამ აზრს ვერ შევუცვლით, მაგრამ ის ციხეში ჩაჯდება და ბოკერიას შეუძლია მას ტორტებით და ყვავილებით ციხესთან დახვდეს და უთხრას, კარგი კაცი ხარო. იმის გამორიცხვა, რომ მერაბიშვილმა დანაშაული არ ჩაიდინა, იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ ვენდობით.



— დაცვის მხარე პროკურატურას კვალიფიკაციას უწუნებს და მიიჩნევს, რომ მტკიცებულებები გაუმყარებელია. პირადად თქვენ, პროკურატურის საქმიანობით კმაყოფილი ხართ?

— მერაბიშვილთან მიმართებაში სასამართლო პროცესი შეჯიბრობითობის პრინციპით წარიმართა და დაცვის მხარემ რომ თქვას, პროკურატურამ რა კარგად დაასაბუთა მტკიცებულებაო, ეს აბსურდია. დაცვის მხარის სტრატეგიაა, მტკიცებულებები გააბათილოს და მუხლები სადაო გახადოს. ეს ხომ ის დრო არ არის, როცა პროკურორს საქმე შემოჰქონდა და მოსამართლეს არავინ არაფერს ეკითხებოდა. ნაციონალების დროს, ისეთი წლები იყო, როცა 99 პროცენტი გამამტყუნებელი განაჩენი დგებოდა. პროკურატურის საბრალდებო დასკვნაში კი, არაფერი იცვლებოდა და მოსამართლეს განაჩენი ერთი-ერთზე გამოჰქონდა. მართალი გითხრათ, თუ მოსამართლე იტყოდა, მერაბიშვილი უდანაშაულო არისო, უკმარისობის გრძნობა დამრჩებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა მოსამართლის გადაწყვეტილება. ჩვენს წრეში არიან ადამიანები, რომელთა შორის არის განწყობა — რა ვქნათ ნაციონალებს ლინჩის წესით ხომ არ გავასამართლებთო, მეორე ნაწილი კი მის დასჯას ითხოვს. პროკურატურას ამ ქეისთან დაკავშირებით, შეფასებას არ ვაძლევ, მაგრამ ზოგადად, პროკურატურის მუშაობა არ არის ეფექტური, რასაც ობიექტური მიზეზი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურას ცხრა წლის მანძილზე კარტბლანში ჰქონდა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს გადაჩვეული იყო. ასევე პროკურატურისთვის სასამართლო პროფესიული ზრდის ასპარეზი არ იყო, უბრალოდ, მისი ნების გაფორმების ინსტანცია იყო, რამაც პროკურატურას პეწი და ხიბლი დაუკარგა.

— პროკურატურაში არსებულ პრობლემებზე საუბრობთ, სტრუქტურის გაჯანსაღების პროცესი კბილაშვილ-ნაცვლიშვილის საქმიანობამაც დააზარალა, მაგრამ ამ დრომდე ჭიანურდება, ე.წ. სამართლიანობის აღდგენა, არადა, ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა „ქართულ ოცნებას“ მხარი შელახული უფლებების აღდგენისთვის და წართმეული ქონების დაბრუნებისთვისაც დაუჭირა. სამართლიანობის აღდგენა ვანო მერაბიშვილის და ბაჩო ახალაიას დაკავებაა?

— რაც გაფუჭებული იყო, იმ ყველაფრის აღდგენა ვერ მოხერხდა და დროში ბევრი რაღაცა ჭიანურდება, რაც მინუსია, რადგან, რაც დრო გავა, პრობლემური საკითხები მით ვერ მოგვარდება. კბილაშვილზე გეტყვით, რომ აჩიკო კარგი იურისტი და პატიოსანი ადამიანია, ნაცვლიშვილს კი არ ვიცნობ, მაგრამ მისი მონაწილეობის ხარისხის თვალსაზრისით, რა ხმებიც იყო, ის ჩემთვის დადებითად არ ხასიათდება. რაც შეეხება წართმეულ ქონებას, პროკურატურას ეს საკითხები ელემენტარულ დონეზე უნდა გადაეწყვიტა და სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა ყოფილიყო, რომ, სადაც იყო საშუალება პატრონს ქონება უკან უნდა დაბრუნებოდა, ხოლო, სადაც არ იყო საშუალება, ადამიანს საბუთი უნდა მიეღო, რომ მას ქონებრივი პრეტენზია აქვს და როცა სახლემწიფოს საშუალება ექნება, მას ეს ქონება დაუბრუნდება. ამ ყველაფერს ვაცნობიერებ და ვხვდები, მაგრამ ამის შეუსრულებლობა დიდ უბედურებად არ უნდა მიიჩნიონ და „ქართულ ოცნებას“ არ უნდა აუმხედრდნენ, რადგან ქვეყანაში უსამართლობის პროცესი შეწყდა და 1 ოქტომბერს ტოტალური ტერორი დამთავრდა. 1 ოქტომბერი ვისთვისაც ღირებულია, იმ ადამიანებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ეს დღე ხალხის გამარჯვებად დარჩეს.

— თუმცა, ყველა პიროვნული საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე, მოქმედებს და 1 ოქტომბრის მადლიერნი ის ადამიანები ვერ იქნებიან, რომლებიც წართმეულ ქონებას ვერ იბრუნებენ. ხელისუფლებაში თქვენ ხართ, ნაციონალებმა მათ ქონება წაართვეს. ამ ადამიანებმა ვის მიმართონ?

— სადაც შეიძლება, ამ ადამიანებს ქონება უნდა დავუბრუნოთ.

— რატომ არ უბრუნებთ?

— ამის მექანიზმი არ არსებობს. ქონებრივი პრეტენზიების დროს, ამნისტიას ვერ შემოვიღებთ და ამ სტანდარტით ვერ ვიხელმძღვანელებთ. საკითხის შესწავლა უნდა მოხდეს — ამ ადამიანს საიდან ჰქონდა ქონება და რატომ ჩამოართვეს. თუ ერთ დღეში, ადამიანი ქონებას სახლემწიფოს ჩუქნის, ეს კითხვას იწვევს, მაგრამ პატიმრებისგან განსხვავებით, ამნისტია ვერ იქნება შემოღებული. წესით, ეს დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ამით სასამართლოში შესვლას ვერ ვბედავთ, რადგან სასამართლოს მიმართ ნდობა არ არის მაღალი და მას ეფექტი არ ექნება. თუ დავები სასამართლოში შევა, ქვეყანაში დაძაბული ვითარება იქნება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ეს პროცესი დაიწყოს და ჭიდილი გავბედოთ. სწორი პროცედურა უნდა შემოვიღოთ და ეს პროცესი დავიწყოთ.

— რაც შეეხება პარლამენტში პრეზიდენტის მოსვლას, ნაციონალები ქვეყნის პირველ პირს მკაცრად აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ მისი ადგილი გუნდშიც არ არის განსაზღვრული. გიორგი მარგველაშვილისგან რის მოსმენას ელით?

— პრეზიდენტის წლიური მოხსენება ის პოლიტიკური მოვლენა აღარ არის, რაც ძველი კონსტიტუციით იყო. ამას გარდა, პრეზიდენტის არჩევის ვადა ისეთი ხანგრძლივი არ არის, რომ მას მწვავე კითხვებით თავი მოვაბეზროთ. გიორგი მარგველაშვილი დიდი პატივით უნდა მივიღოთ და მისი განწყობები მოვისმინოთ.

— რეგლამენტის მიხედვით, მთავრობას უფლება აქვს, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას დაესწროს, თუმცა, მინისტრთა კაბინეტს ამის ვალდებულება არ აქვს. გიორგი მარგველაშვილის მოხსენების წარდგენას მინისტრებიც დაესწრებიან?

— ვერ გეტყვით, თუმცა, ალბათ, თუ ყველა არა, ცალკეული მინისტრები მოვლენ.

— მათ შორის, პრემიერ-მინისტრიც?

— თუ საზოგადოებრივი მოთხოვნა იქნება, ღარიბაშვილი გონიერი ადამიანია და ის ადეკვატურად მოიქცევა.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ფოთელმა მეთევზეებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ისინი ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან შეიკრიბნენ და თავიანთი მოთხოვნები და პრეტენზიები დააფიქსირეს. ქართული სეინერების მეპატრონეებს გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ კონკრეტული მოთხოვნები აქვთ და საკითხების დროულად მოგვარებას ითხოვენ.

მეთევზეების განცხადებით, მუშაობა თურქ მეთევზეებთან არათანაბარ პირობებში უწევთ. მათივე განმარტებით, თურქი მეთევზეები თევზჭერას არასტანდარტული ბადე-იარაღებით ახდენენ, რის გამოც უკვე განადგურდა სანაპირო ზოლის 70 %.

— ჩვენ მივწერეთ წერილი გარემოს დაცვის მინისტრს, მაგრამ ეს ყველაფერი რეაგირების გარეშე დარჩა. მიღებული წესდებისა და კანონის თანახმად, უცხო ქვეყნების გემებს კი არ დასდევენ, ჩვენ დაგვსდევენ. არის განუკითხაობა, ჩვენ ვითხოვთ შეხვედრას გარემოს დაცვის მინისტრთან. თუ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, ალბათ, მივმართავთ უკიდურეს ზომებს, — აცხადებს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე მურად მიმინოშვილი.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მეთევზეები, აქციების გაგრძელებითა და შიმშილობით იმუქრებიან.

ნაციონალები კიკვიძის წინააღმდეგ

საპრეზიდენტო წევრი გია გოქაძე ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟს ითხოვს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატი გია გოქაძე პრემიერ-მინისტრს მიმართავს.

გია გოქაძის თქმით, მან ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს შოთა მურღულიას ერთი თვის წინათ განცხადებით მიმართა, რომ ძეგლის დემონტაჟი მომხდარიყო, თუმცა, პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

გოქაძის თქმით, თუ 23 თებერვლამდე ძეგლის დემონტაჟი არ მოხდება, ის ვასილ კიკვიძის ძეგლს თავად შეღებავს.

თავად მოსახლეობა გადაწყვეტს, მიღებული თანხით რა დააფინანსოს

საქართველოს მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა. ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მინისტრის განმარტებით, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს, რომ ეს თანხა გადანაწილდება სოფლების მიხედვით და თავად სოფლის მოსახლეობა გადაწყვეტს, თუ რა დააფინანსოს.

ხადურის განცხადებით, არსებობს დაფინანსების ფორმულა, რომელიც შეიმუშავა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ლატვიის სკოლებში აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს

საძართველომ **და აზერბაიჯანმა ლატვიიდან არასასიამოვნო სიურპრიზი მიიღეს. თბილისისა და ბაქოს კონტროლიდან გამოსული ავტონომიები — კერძოდ აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი და მთიანი ყარაბაღი — ამ ბალტიისპირა რესპუბლიკის სახელმძღვანელოებში მოხსენიებული არიან დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსით. საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფალთა ოფიციალური რეაქცია ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ლატვიის პრეზიდენტმა უკვე გამოთქვა მწუხარება მომხდართან დაკავშირებით.**

ბაქომ და თბილისმა ბალტიისპირეთის რესპუბლიკის სახელმძღვანელოებში შეცდომები აღმოაჩინეს

შეცდომა ლატვიის საგანმანათლებლო სისტემაში პირველად აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიუთითებდნენ განსაზღვრება „სუვერენულის“ გამოყენების დაუშვებლობაზე მთიანი ყარაბაღის მიმართ, რომელიც, როგორც ისინი აღნიშნავდნენ, აზერბაიჯანის ნაწილია.

თბილისში თავდაპირველად მეზობელ ქვეყანაში პუბლიკაცია შეაფასეს არა როგორც შეცდომა, არამედ, როგორც ერთგვარი ელემენტი ოფიციალური ომისა სომხეთის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მთიანი ყარაბაღი როდია „ბედნიერი“. ასეთსავე „დამოუკიდებლებად“ არიან მოხსენიებული სახელმძღვანელოებში აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი და მაშინ თბილისში იწყინეს.

პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი უბრალოდ გაოცებულია, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ არა ვენესუელაში ან ნაურუში, რომლებმაც აღიარეს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობა, არამედ ლატვიაში — ევროკავშირისა და ნატოს წევრ, საქართველოს პარტნიორ ქვეყანაში, რომელიც ყოველთვის გამოდიოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად.

ყოფილმა ხელისუფლებამ ბრალი დასდო ამჟამინდელს: ისე მიუშვეს საქმე, რომ ლატვია სულ მალე შეცვლის თავის პოზიციას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საკითხთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მოუწოდა არ მოახდინონ სიტუაციის დრამატიზება: „აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მოხსენიება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ლატვიაში გამოცემულ სახელმძღვანელოებში, რასაკვირველია, არ არის კარგი, მაგრამ არც საშინელებაა“. მისი აზრით, მომხდარი საშუალებას აძლევს საქართველოს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემებზე...

ლატვიის პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა გაუგებრობა უწოდა სახელმძღვანელოებში გაპარულ შეცდომებს. მან გამოთქვა იმედი, რომ ურთიერთობანი ქვეყნებს შორის არ გაუარესდება, და დაგვპირდა, რომ პირადად გაერკვეოდა საკითხში.

ლატვიის საელჩო საქართველოში გამოვიდა განცხადებით: **„ლატვიის პოზიციაა: საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“.**

მიუხედავად ამისა, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში „მცირე უსიამოვნებათა“ ოდენობა, რომლებიც დაკავშირებულია კონტროლიდან გამოსულ ავტონომიებთან, საქართველოსთვის გაიზარდა. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა თანამშრომლობაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ ცხინვალსა და იტალიის ქალაქ ლანუზეის შორის. საქართველოს მხარის პროტესტზე მაურო მურჯა, რომელიც იტალიაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს წარმოადგენს, მკვეთრად განაცხადა: „თბილისმა უნდა გაიგოს, რომ იტალია — ეს არ არის კონტროლქვეშ არსებული მივარდნილი კუთხე, სარდინიას კი (კუნძულია, სადაც ქალაქი ლანუზეი მდებარეობს) აქვს ისეთი ისტორია და ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ტრადიციები, რომელიც ვერ ითმენს ვერც მაღალ ქედმაღლობასა და ვერც სხვათა ჩარევას“.

ოდნავ მოგვიანებით ნორვეგიის ქალაქ ვერგენში მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა, როგორც აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ განაცხადა, რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. სხვა ინფორმაციით, ვერგენში გაიხსნა „აფხაზეთის საელჩო“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განმარტებისთვის მიმართა და მიიღო კიდეც დარწმუნება ნორვეგიის მთავრობისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მხარდაჭერის შესახებ.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

საქართველო საკაშვილის უკრაინული საქმეებით დაინტერესდა

საძართველოს **მთავარმა პროკურატურამ ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან მოითხოვა იმ მეთვალყურეთა სია, რომლებიც წინა ხელისუფლებამ ოთხი წლის წინათ გაგზავნა უკრაინაში უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგისთვის.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ 19 თებერვალს განაცხადა, რომ დაჩქარებული წესით გაგზავნის მოთხოვნილ ცნობებს.

მთავარი პროკურატურა არკვევს, რისთვის დასჭირდა ექსპრეზიდენტს უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებზე 2010 წელს რამდენიმე ათასი კაცის გაგზავნა

— ჩვენ მოვამზადეთ ყველა სათანადო დოკუმენტაცია ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. მეთვალყურეები მაშინ იგზავნებოდნენ არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ საქართველოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისგანაც, — განუცხადა ჩვენს გაზეთს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელმა ეკატერინე აზარაშვილმა.

იანვრის ბოლოს საქართველოში დაინიშნა ახალი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი, რომელსაც დაუსახეს ამოცანა, აქტიურად გამოიკვლიოს წინა ხელისუფლების ყველა რეზონანსული საქმე 2004-2012 წლებში. და ეგრეთ წოდებული საქმე 2 ათასი მეთვალყურის შესახებ ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა.

2010 წელს უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებზე ჩავიდა უპრეცედენტოდ ბევრი მეთვალყურე — დაახლოებით 2 ათასი კაცი. მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აქტიურად უჭერდა მხარს იულია ტიმოშენკოს კანდიდატურას. გაჩაღდა სკანდალი, რის შედეგადაც დაზარალდა ტრადიციული მეგობრული ურთიერთობანი კიევსა და თბილისს შორის. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია, გაოგნებული ასეთი მასობრივი შემოსევისგან, უარს ეუბნებოდა ბევრ ქართველ ვიზიტორს აკრედიტაციაზე. ქართველების ნაწილი შტატგარეშე კორესპონდენტების მოწმობებითაც კი სარგებლობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დონეცკის სამმართველო 2010 წელს იტყობინებოდა, რომ დააკავა სამი ქართველი „მეთვალყურე“ იმისთვის, რომ ისინი ცდილობდნენ შეეღწიათ საარჩევნო უბანში და ჩამოეგლიჯათ პლომბები საარჩევნო ურნებისგან. უკრაინის რეგიონების პარტია აცხადებდა, რომ „მეთვალყურეთა“ შორის არიან ქართველი სპეცნაზელებიც, რომელთა მიზანიც პროვოკაციის მოწყობაა. მაშინვე ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატმა ვიქტორ იანუკოვიჩმა შესთავაზა სააკაშვილს დაუყოვნებლივ გაიწვიოს მივლინებულები, მათ საქციელს კი უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევა უწოდა.

დეპუტატმა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნუგზარ წიკლაურმა დაადასტურა, რომ ქართველ მეთვალყურეთა რიცხვი უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებზე 2010 წელს მეტად დიდი იყო.

— საქართველოს წარმომადგენლები იქ იცავდნენ დემოკრატიას, ვინაიდან იყო ინფორმაცია შესაძლო ფალსიფიკაციის შესახებ. დემოკრატიული, თავისუფალი უკრაინა — ეს ხომ საქართველოს ინტერესებში შედის. და სწორია, რომ ეს იყო გარკვეულწილად პოლიტიკური გადაწყვეტილება, — აღნიშნა მან.

ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკრიტიკებს მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ თავშეკავებული ტონის გამო უკრაინის ამჟამინდელი მოვლენების შეფასებაში. თავად სააკაშვილმა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, სიტუაცია მაიდანზე შეადარა პეკინის მოედან ტიანანმენს და მიმდინარე მოვლენებში ბრალი კრემლს დასდო.

— უკრაინის ხელისუფლება ზემოქმედებით ან პირდაპირი დიქტატით მოსკოვიდან მოქმედებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, — თქვა სააკაშვილმა.

შარშან დეკემბერში საქართველოს ყოფილი ლიდერი გამოვიდა მაიდანზე, რის შემდეგაც უკრაინის ხელისუფლებამ შეიყვანა იგი არასასურველი ვიზიტორების სიაში. თებერვლის დასაწყისში სააკაშვილი მოულოდნელად ჩავიდა მიუნხენში უშიშროების საერთაშორისო კონფერენციაზე და მის კულუარებში შეხვდა ვიტალი კლიჩკოს, რომელიც გაიცნო 2011 წელს მარსელში ევროპის სახალხო პარტიის სამიტზე. იმ მომენტისთვის სააკაშვილმა მაინც ვერ შეძლო მოეწესრიგებინა ურთიერთობანი იანუკოვიჩთან. ვერ დაეხმარა დაუგეგმავი ვიზიტიც კიევში 2010 წლის ივნისში, როდესაც სააკაშვილი საკუთარი ინიციატივით ჩაფრინდა კიევში, რათა მიელოცა უკრაინის პრეზიდენტისთვის 60 წლისთავი. წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოეწყო იანუკოვიჩის ვიზიტიც თბილისში, თუმცა, ასეთი ამოცანა დაისვა ქართველი დიპლომატების წინაშე.

დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ ზვიად კვაჭანტირაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ რეკომენდაციას მისცემდა კლიჩკოს უგულებელყოს სააკაშვილის რეკომენდაციები.

— ჩვენ გვსურს, რომ უკრაინის კრიზისი მოლაპარაკების გზით გადაწყდეს. ამავე დროს, მე ვურჩევდი ვიტალი კლიჩკოს ნაკლებად უსმინოს სააკაშვილის რჩევებს. არაფერი სასარგებლო არ მოუტანა უკრაინას „მეთვალყურეთა“ ქართულმა დესანტმა. მთლიანად „ნაციონალების“ პოლიტიკა რევოლუციის ექსპორტთან დაკავშირებით სიკეთესთან არ მიგვიყვანს, — თქვა პარლამენტარმა.

ცნობილმა ქართველმა სამართალდამცველმა ირაკლი კორძაიამ აცნობა ჩვენს გაზეთს, რომ აწარმოებდა უკრაინაში 2010 წელს მივლინებული პირების ნაწილის იდენტიფიკაციას.

— მათ შორის, ეს დადგენილია ფოტო და ვიდეომასალებით, იყვნენ ისინი, ვინც მკაცრად უსწორდებოდა მაშინდელ ოპოზიციონერებს თბილისში სააკაშვილის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს, — განაცხადა კორძაიამ.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 19 თებერვალს სპეციალური განცხადებით მოუწოდეს კიევში დაპირისპირებულ მხარეებს, ეძებონ მშვიდობიანი გზები, რათა არ დაუშვან ქვეყანაში დაძაბულობის ესკალაცია.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

მაიდანზე პროტესტის მონაწილეებმა კვლავ ეძვი შეიტანეს რუსეთის სპეცნაზში, რომ იგი მონაწილეობს შეტაკებებში კიევში: ნახეს რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს შევრონი არწივით

დამოუკიდებლობის მოედანზე დადგმული სცენიდან სამკლავე შევრონი, რომელიც თითქოსდა რომელიღაც ოფიცერს ააცალეს, აჩვენეს, თუ როგორ დასტურდება რუსეთის ძალოვანების მონაწილეობა მაიდანის შტურმში და მოუწოდეს გამოიძიონ რუსეთის მოქმედებები.

* * *

ევროკავშირის სამი ძვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები კიევში მიდიან

უკრაინის ხელისუფლებამ გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები მიიწვია ვიზიტზე კიევში, რათა დასავლეთისგან მიიღოს უფრო დაბალანსებული მიდგომა სიტუაციისადმი, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა კოჟარამ. ის ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ვერ გრძნობს მოსკოვის პირდაპირ ზემოქმედებას.

* * *

ისლამისტები „ბოკო ჰარამიდან“ თავს დაესხნენ ძალაძ ბამას ნიგერიაში. დაღუპულია ათობით ადამიანი

ბოევიკები ქალაქს თავს დაესხნენ ჩრდილო-აღმოსავლეთში ერთი დღეღამიდან მას შემდეგ, რაც ნიგერიის პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა არმიის გამარჯვების შესახებ „ბოკო ჰარამზე“. ბამაში დაწვეს ადგილობრივი ბელადის სასახლე და კიდევ რამდენიმე სახლი. კავშირი ქალაქთან დარღვეულია. დაღუპულთა ზუსტი რიცხვი უცნობია.

* * *

„ფუკუსიმა-1“-ში მოხდა 100 ტონა რადიაქტიური წყლის გადინება

რეზერვუარიდან გამომდინარე წყლისგან, რომელსაც იყენებდნენ ავარიული რეაქტორების გასაცივებლად, გამოსხივება ათობით მილიონჯერ აჭარბებს უკიდურესად დასაშვებ ნორმას. ეს არის ყველაზე მასშტაბური საგანგებო შემთხვევა 2013 წლის აგვისტოდან, როდესაც სადგურიდან მოხდა 100 ტონა რადიაქტიური წყლის გადინება.

◉ საქართველოს მწერალთა სახლში

პატარა ქალაქის ისტორიები

საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მწერალ **თამარ მიქაძის** მინიატიურების წიგნის — **„ძალიან პატარა ქალაქში“** წარდგინება. მწერალთა სახლში შეკრებილი აუდიტორია სიამოვნებით ისმენდა პატარა ქალაქის ისტორიებს. ეს დღე შემთხვევით არ შეირჩა. 14 თებერვალს მწერლის ბიძის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის გურამ პატარაიას დაბადების დღე იყო. შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა საყვარელი რეჟისორი. დარბაზში ხალხმრავლობა იყო — მოვიდნენ მწერლის კოლეგები, ახლობლები, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, მათ შორის ახალგაზრდებიც. საღამოს უძღვებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ელაშვილი, რომელმაც პროფესიული გემოვნებით ისაუბრა მინიატიურაზე, როგორც ჟანრზე. ასევე, ავტორზე.

მწერლის მეცნიერული დამსახურების, პიროვნული ღირსების შესახებ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო მამარდაშვილმა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მთარგმნელმა მაკა ნაჭყებიამ ხაზი გაუსვა თამარ მიქაძის შემოქმედების ფესვებს, აღნიშნა, რომ მისი ნაწარმოებები ქართული ტრადიციების გაგრძელების საუკეთესო ნიმუშია.

მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა ისაუბრა ქვიშხეთზე, იქ გამართულ საღამოებზე, ქალბატონ თამარზე, როგორც დიმიტრი ყიფიანის ღირსეულ შთამომავალზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხათუნა ლორთქიფანიძის აზრით, მცირე ნაწარმოებთან ასეთი შეჭიდება მხოლოდ რჩეულ ავტორებს ძალუძთ.

მწერლის ბავშვობის მეგობარმა, ხელოვნებათმცოდნე ნინო ღაღანიძემ ისაუბრა ავტორის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით იუმორზე — როგორც დღევანდელ იშვიათობაზე.

ასეთ თბილ, გულწრფელ, გემოვნებიან შემოქმედებას მეტ-ნაკლებად მონატრებული აუდიტორია კმაყოფილი ჩანდა. ყველამ ერთხმად აღნიშნა მწერლის არტისტული მონაცემი. „ძალიან პატარა ქალაქში“ მწერლის მინიატიურების მეორე წიგნია. თამარ მიქაძე ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. არის ჟურნალ „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრი. 2003 წელს „საარში“ გამოიცა მისი მინიატიურული პროზის კრებული „სევდიანიდან მხიარულამდე“. მინიატიურული პროზის ეს მეორე კრებულიც „საარმა“ გამოსცა. წიგნში შესულია ავტორის როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი 50 მცირე ზომის ნაწარმოები. გარეკანზე გამოყენებულია რეზო ესაძის ნახატები.

აღსანიშნავია, რომ თამარ მიქაძე დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალია. იგი არის ფოტოალბომის — „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — პროექტის ავტორი და შემდგენელი. 2013 წელს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მას დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი გადაეცა.

თამარ შაიშმელაშვილი

◉ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **ცაგარეიშვილს მოლოტოვის კოქტეილი ჰქონია, მარა ჩინური იყო და არ გაამართლა.**

● **იანუკოვიჩს რო ტვინი ჰქონდეს, ეტყოდა, უკრაინელ ხალხს დეფი, აკო, წუკლარა, საყვარელიძე და სხვები გიჭერენ მხარსო (კადრებსაც აჩვენებდა) და მაიდანი ბერკუტის მხარეს გადავიდოდა.**

● **ახლა ვუყურებ კიევის კადრებს და ერაყის დაბომბვის ღამე მახსენდება. მაშინაც პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა „რუსთავი-2“.**

● **რით ვერ გაიგეთ? ამ აკრძალული პრეპარატების გაყიდვაზე აფთიაქების ჯარიმის სახით დასჯა ვერ გადაჭრის პრობლემას... ამ ჯარიმის საფასურს 20 წუთში ვაჭრობენ და გადაიხდიან — უღირთ! ლიცენზია უნდა ჩამოერთვათ — ლიცენზია! რა ფეხს ითრევთ, ძნელია ამ კანონის მიღება?**

● **დღეს არ მქონდა ინტერნეტსა და საინფორმაციო საშუალებებთან წვდომა და ერთი თვალის გადახედვით რა დასკვნაც გამოვიტანე, ეს არის: ჯიგრები არიან ნაცები — გასდით და ახურებენ, აგინებენ, ემუქრებიან და აბუჩად იგდებენ; თანამდებობები და პრივილეგიები შეინარჩუნეს, უფრო მეტად აგრესიულები და მოტივირებულებიც გახდნენ.**

რესპექტ ჩემგან!!!

რომ მობრუნდებით, ეს პოსტი არ დამივიწყოთ...

P. S. ამათ კოჰაბიტაციურ ვნებებს და ალერსს გადაყვება ვატყობ ჩვენი ნაწვალებ-ნაომარი და მაგ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ, პატივცემულო „ერთიანო ნაციონალურო ოცნებავ“...

● **ეს ნაცების „ყოჩი“ ბობოხიძე რა ჩმორი ტიპია...სადაც გონია რომ გაუვა, იქ აბლატავდება ხოლმე, როგორც ადრე მამრაძესთან, ახლა ცაგარეიშვილთან და კიდევ სხვა შემთხვევებში, მაგრამ ხომ გახსოვთ, სოსო ჯაჭვლიანი ბარამიძეს რომ დაეტაკა, ბობოხიძე ადგილიდან არ განძრეულა, ხელი არც გაუტოკებია, რადგან იცოდა, რომ დაინაყებოდა ნიგოზივით... ეს მართლა ჩმორები კიდევ რომ ბლატაობენ, მაგარი სასაცილოა...**

● **არველაძე მეორე ბაზის დირექტორად ხო არ მუშაობდა ადრე და ლუსტრა იზ ვენეციანსკოგო სტეკლა ხო არ დაემტვრა გუშინ? (სხვა პოლიკლინიკაშიც ექნება ცნობა აღებული.**

● **ეს ეშტონი საიდანღაც მეცნობა და ახალგაზრდობისას „კმარელი“ ხომ არ იყო ნეტავ?**

● **რუსეთ-დასავლეთის ერთობლივი გეგმა ახლა უკრაინაში ხორციელდება. სპექტაკლი, რომელიც საქართველოში წარმატებით დაიდგა — საქართველო უსამართლოდ და უაფხაზეთოდ, ხოლო უკრაინა — უყირიმოდ, ნატოსა და ევროკავშირში ორივე იკმაყოფილებს თავის სტრატეგიულ ინტერესებს ჩვენი მიწებისა და ხალხის ხარჯზე.**

დროა, გონს მოვიდეთ!

ამოკრება

გია გაბრიჭიძე

◉ ქაჩაღური ბიზნესი

მიცვალებული გაძარცვეს

კუს ტბის დანგრეული და გაპარტახებული გარემოს გადასარჩენად 1995 წელს შეიქმნა შპს „კუს ტბა“, რომელიც კუს ტბას იჯარის წესით მართავდა. მაგრამ მატერიალური შესაძლებლობების სიმწირის გამო დავიწყეთ ინვესტორის ძებნა, აცხადებს შპს-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ილია კაკაბაძე. მოვებნეთ ვახტანგ კიკაბიძე, რომელიც მანამდე „მხედრიონთან“, შემდეგ „მოქკავშირის“ ელიტასთან დაახლოებული პირი იყო. მომღერალმა „კუს ტბის“ მესვეურთ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. თუმცა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. ბუბამ მაშინ საქმეში ჩართო ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი. მომღერალ-ბიზნესმენის წყვილმა ინვესტიციების სანაცვლოდ დამფუძნებლებს წილში შეყვანა მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. და თუმცა, დაპირებული თანხა ვერ მოიზიდეს, ისინი საბუთების გაყალბების გზით „კუს ტბის“ მეწილეები მაინც გახდნენ.

— ახალმა „მეწილეებმა“ ძველი დამფუძნებლები მოტყუებით, გაყალბებული ოქმებით გაგვიყვანეს „კუს ტბის“ მმართველობის სიიდან, — ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული. მისი გადმოცემით, კიკაბიძემ თავისი მინდობილობა სრულად გადასცა ხარძიანს.

ამ უკანასკნელმა კი სახელმწიფოსაგან და კერძო შემოწირულობებით მიღებული თანხები მთლიანად მიითვისა და გაანიავა. შემოსულ მოგებებს არ აჩვენებდა და საბოლოოდ კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა, — აკონკრეტებს ილია კაკაბაძე.

„კუს ტბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი რამაზ გიორგობიანი ხარძიანსა და კიკაბიძეს თავისი კოლეგის სანდრო კვასხაძის 2007 წელს თვითმკვლელობამდე მიყვანაში სდებს ბრალს. მათ, იძულებითა და მოტყუებით შპს-ს ქონებას დაპატრონებულებმა, „კეთილი ნება“ გამოიჩინეს და კვასხაძის გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ მის მეუღლეს მისცეს სამემკვიდრო მოწმობა და 6-პროცენტიანი წილის საკუთარ სახელზე გადაფორმების უფლება, — განმარტავს გიორგობიანი და იქვე ამატებს, პარტნიორთა ოქმის ამონაწერი მომთხოვესო. დაიწერა განცხადება პარტნიორთა კრების ოქმის მოთხოვნის თაობაზე, რომელიც შემდგომში რეესტრში უნდა ყოფილიყო წარდგენილი, რათა კვასხაძის ქვრივს მიეღო უფლება მეუღლის წილის კანონიერად გადაფორმებისა. ხარძიანის სახელზე გაიგზავნა 3 დაზღვეული განცხადება, თუმცა, ქალბატონს არანაირი პასუხი არ მიუღია, ხოლო მას შემდგე, რაც კვლავ მივიდა სამეწარმეო რეესტრში, აღმოჩნდა, რომ მისი გარდაცვლილი მეუღლის წილი ყოფილა არა 6 პროცენტი, როგორც ეს მას თავიდან უთხრეს, არამედ — 0,17 პროცენტი, ცოტა ხანში კი განუმარტეს, რომ მისი მეუღლის სახელზე არავითარი წილი არ ირიცხებოდა. გიორგობიანი ასკვნის, კიკაბიძემ და ხარძიანმა მიცვალებული გაძარცვეს, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდა მოსამართლე კალანდაძეო.

„კუს ტბის“ ყოფილი მფლობელები კიკაბიძისა და ხარძიანის ამჟამინდელ განცხადებებს უსინდისობის კლასიკურ მაგალითს უწოდებენ. პირველი ამბობს რომ არაფრის საქმის კურსში არ არის, ბიზნესმენი კი ცხარე ცრემლებით მოთქვამს, რომ თავის დროზე ნაცებმა იგი სწორედ „კუს ტბის“ გამო დააკავეს და უნამუსოდ ითხოვს „სამართლიანობის აღდგენას“.

„კუს ტბის“ ყოფილმა მფლობელებმა წართმეული ქონების დაბრუნებაზე სარჩელი პროკურატურაში უკვე შეიტანეს.

ზაზა ბილიხოძე

დაზუსტება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ **„ჭიათურა – პერევისა – სვერი - თვალუეთი – გეზრულის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის (მშენებლობა-პროექტირება)”** გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” 2014 წლის 15 თებერვალს გამოქვეყნებულ სატენდერო მოწვევაში № SLRP II/CW/NCB-15 შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 16 თვე.

Clarification

Amendment has been made to Invitation for **Bid No.SLRPII/CW/NCB-15** for **Design-Build and Transfer of Mtskheta-ShioMgvime Monastery Road Section Rehabilitation under Output and Performance-based Road Contracting Methodology**, published in the local newspaper “Republic of Georgia” by the Roads Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on February 15, 2014, as follows:

Implementation period for execution of construction works is 16 months.

◎ სოჭი – 2014

რა ხდებოდა „აისბერგში“ ელენე გედევანიშვილის გამოსვლის დროს

ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის (2010 და 2012 წ.წ.) ელენე გედევანიშვილის პირველმა გამოსვლამ სოჭის ოლიმპიადაზე მაყურებლების, სპეციალისტების და ჟურნალისტების დიდი სიმპათიები და მოწონება დაიმსახურა. 19 თებერვალს საღამოს სპორტკომპლექს „აისბერგში“ ელენეს მოთელვაზე გამოსვლისთანავე დარბაზი ტაშით და ოვაციებით აფეთქდა. მაყურებლებმა – მათ შორის ძირითადად რუსეთის მოქალაქეები ჭარბობდნენ, აგრეთვე იყვნენ ამერიკელები, გერმანელები, ბალტიის ქვეყნებისა და იაპონიის მოქალაქეები – ძალიან თბილად მიიღეს ელენე. პრეს-ლოჟის იმ ნაწილში, რომლის ტრიბუნა მეოთხე სართულზეა, კარგად ჩანდა რა ხდებოდა დარბაზში. ელენეს მიერ შესრულებელი ილეთების შემდეგ მაყურებელთა ნაწილი ყვიროდა: „ბრავო ელენა, ბრავო გრუზია, ჯორჯია!“, მისი გამოსვლის შემდეგ კი ყინულზე ყვავილები ისროლეს.

იქვე ამერიკელი ჟურნალისტები ისხდნენ, რომლებიც ელენეს გამოსვლით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ და ყოველივეს ჟესტით – ცერა თითის აწევით – გამოხატავდნენ. თავიდან ელენე ამ ეტაპისთვის მე-4 ადგილზე იყო, სხვა მოციგურავეების გამოსვლის შემდეგ კი მოკლე პროგრამაში მე-17 ადგილზე (30 მონაწილეს შორის) გადაინაცვლა. პირველი დღის მინიმალური მიზანი მიღწეულია – ელენე შემდეგ ეტაპზე გავიდა.



მაყურებლების ნაწილი და კოლეგების ერთი ჯგუფი ამბობდა, რომ თავისი ლამაზი გამოსვლით ელენე უფრო მაღალ ადგილს იმსახურებდა, თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის.

შეგახსენებთ, რომ წინა ოლიმპიადებზე – 2006 და 2010 წ.წ. – ელენე მე-10 და მე-14 ადგილებზე გავიდა.

გეჟან დოლიძე

უკრაინელები სოჭს ტოვებენ

არაოფიციალური ცნობებით, უკრაინის დელეგაცია სოჭის ოლიმპიურ თამაშებს ტოვებს. აღნიშნული ინფორმაცია პარტია „ბატკივშჩინას“ „ტვიტერის“ გვერდზე ვრცელდება. მიზეზი ცხადია – უკრაინელი სპორტსმენები მათ სამშობლოში მიმდინარე სისხლიანი მოვლენების გამო პროტესტს გამოთქვამენ. შეგახსენებთ, რომ უკრაინული დელეგაცია ოლიმპიადაზე 43 სპორტსმენით იყო წარდგენილი და ამ დროისთვის მათ ანგარიშზე ერთადერთი ბრინჯაოს მედალი იყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ლიგაზე სტუმართა დომინირება გრძელდება

სამშაბათის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის თამაშებიც სტუმარი გუნდების უპირატესობით დამთავრდა: „ატლეტიკომ“ „მილანს“ იტალიაში მოუგო, ხოლო „ბაიერნმა“ კაცნაკლულ „არსენალს“, მისსავე მოედანზე, 2 უპასუხო ბურთი გაუტანა.

„ემირეითს სთედიუმზე“ გამართული მატჩის პირველ ტაიმში გუნდებმა ჯერ სახიფათო დარტყმები, შემდეგ კი გაცუდებული თერთმეტმეტრიანები გაცვალეს. საწყის წუთებში შჩეზნიმ კროოსის, ხოლო ნოიერმა სანოგოს დარტყმები მოიგერიეს. „არსენალის“ ახალგაზრდა ფრანგ შემტევზე უნდა ითქვას, რომ ამ ერთი ეპიზოდის გარდა, მან რამდენიმე მომენტში გადაწყვეტილების მიღება დაგვიანა და ლონდონელთა სახიფათო შეტევები ამის გამო ჩაიშალა.

მე-8 წუთზე მეტოქის საჯარიმოში ბურთით აღმოჩენილი მესუთ იოზილი ბოატენგმა საპენალტედ წააქცია. მასპინძელთა გერმანელ ნახევარმცველზე არბიტრს თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირება მართებდა და მის მიერ თერთმეტმეტრიანის გაფუჭება შეგვიძლია სამართლიანობის აღდგენად მივიჩნიოთ. იოზილმა პენალტი ცუდად შეასრულა – მას ცენტრში დარტყმა უნდოდა, მაგრამ მარცხნივ გადამხტარმა ნოიერმა რეაგირება და ბურთის მოგერიება მოახერხა.

37-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი უკვე მასპინძელთა კარის მიმართულებით დაინიშნა. „არსენალის“ პოლონელმა მეკარემ არიენ რობენი წააქცია. პენალტი აშკარა იყო, აი შჩეზნის დანდობა კი რიცოლის იმის გამო შეეძლო, რომ მეკარის მოტყუების შემდეგ რობენს დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა გაუჭირდებოდა.

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ეს „არსენალის“ ფეხბურთელის რიგით მე-13 გაძევება იყო. ამაზე ცუდი შედეგი მხოლოდ „იუვენტუსს“ (20), „ინტერსა“ (17) და „გალათასარაის“ (14) აქვთ.

„არსენალისთვის“ ეს მომენტი ცუდად მხოლოდ იმის გამო დამთავრდა, რომ ვენგერის გუნდი მოედანზე 10 კაცით დარჩა, თერთმეტმეტრიანი დარტყმა კი ალაბამ ძელს მოარტყა.

მე-2 ტაიმში „ბაიერნმა“ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და მიუნხენელები თამაშის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ.

გვარდიოლამ თამაში შეცვლებით მოიგო. მე-2 ნახევრის დასაწყისში მან ბოატენგი რაფინიათი ჩაანაცვლა, რის შემდეგაც ფილიპ ლამს წინწასვლის საშუალება მიეცა. გარდა ამისა, ესპანელმა სპეციალისტმა მოედანზე თომას მიულერი შეუშვა. ლამმა აქტივში 2 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა, ხოლო მიულერმა ერთი გოლი გაიტანა.

მიმდინარეობდა შეხვედრის 54-ე წუთი, როდესაც ლამის გადაცემის შემდეგ საჯარიმოს გარედან ლამაზი დარტყმით ტონი კროოსმა ანგარიში გახსნა და „ბაიერნს“ დიდი უპირატესობა მოუტანა. მისი ზუსტი დარტყმის შემდეგ „არსენალი“ გახდა რიგით მე-10 გუნდი, რომლისთვისაც „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგაზე 10 ან მეტი გოლი აქვს გატანილი.

ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი, შეიძლება ითქვას, გადაწყდა 88-ე წუთზე, როდესაც ლამის გადაცემის შემდეგ მიულერმა თავით ზუსტად დაარტყა და ერთი წლის წინანდელი შეხვედრის მსგავსად, „ბაიერნმა“ „ემირეითსზე“ ამჯერადაც ორბურთიანი სხვაობით მოიგო.

„მილანისა“ და „ატლეტიკოს“ საამსეზონო ფორმის გათვალისწინებით, „ჯუზეპე მეაცაზე“ გამართული თამაშის ფავორიტად მადრიდული გუნდი ითვლებოდა. ლოგიკურია, რომ მასპინძელთა კარგი სტარტის მიუხედავად, ტაბლოზე მაინც სტუმართა უპირატესობა დაფიქსირდა.

პირველ ტაიმში 3 სახიფათო მომენტი შეიქმნა და სამივე „ატლეტიკოს“ კართან. კაკასა და პოლის დარტყმების შემდეგ კურტუას კარი ძელმა იხსნა. ამის შემდეგ კაკამ ბედი კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ მისი დარტყმული მიზანს ძალიან მცირე მანძილით აცდა.

მე-2 ნახევარში მადრიდელთა საუკეთესო ბომბარდირს დიეგო კოშტას 2 მომენტი ჰქონდა. გაესპანელებულ ბრაზილიელს „მაკრატელა“ დარტყმა გაუცუდდა, მაგრამ 83-ე წუთზე ახლო მანძილიდან მის თავით დარტყმულს აბიატიმ ვერაფერი მოუხერხა.

შეხვედრის ბოლო სახიფათო მომენტი „მილანმა“ შექმნა, მაგრამ ადილ რამის შორეული გასროლის შემდეგ ბურთმა ძელს ახლოს ჩაუარა.

„არსენალი“-„ბაიერნი“ 0:2 (0:0) (კროოსი, მიულერი),

„მილანი“-„ატლეტიკო“ 0:1 (0:0) (დიეგო კოშტა).

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

ზვიად გოგოჭური ავსტრიულმა ოქრომ მსოფლიოს რეიტინგში 4 პოზიციით დააწინაურა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც გასულ უქმეებზე ავსტრიის ქალაქ ობერვარტში გამართული საერთაშორისო ტურნირის – ევროპის ღია პირველობის შედეგებიცაა გათვალისწინებული. ტურნირის რანგიდან გამომდინარე, რეიტინგის მოწინავეთა რიგებში მხოლოდ თითო-ოროლა გადაადგილება მოხდა. ლიდერი ერთადერთ წონაში შეიცვალა და ეს წონა 90 კილოგრამია, სადაც წინა რეიტინგსიის მიხედვით საქართველოს ნაკრების წევრი ვარლამ ლიპარტელიანი ლიდერობდა, ამჯერად კი მას კუბელმა ეშლი გონზალესმა 18 ქულით გაუსწრო.

81 კილოგრამ წონით კატეგორიას სათავეში კვლავ ავთანდილ ჭრიკიშვილი უდგას. ევროპის მოქმედ ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტს უახლოეს მდევართან ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ ლუის პიეტრისთან 472-ქულიანი უპირატესობა აქვს.

უმსუბუქეს წონაში მოჭიდავე ამირან პაპინაშვილი კვლავ მეორე ადგილზეა და ლიდერს, იაპონელ ნაოჰიშა ტაკატოს 544 ქულით ჩამორჩება, მძიმეწონისანი ადამ ოქრუაშვილი კი ისევ მესამეა.

ჩამოთვლილი ოთხი ქართველი ძიუდოისტის გარდა, საუკეთესო ათეულში ადგილს ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ. მე-9) და ლევან წიკლაური (81 კგ. მე-9) ინარჩუნებენ, მაგრამ შავდათუაშვილისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან წონის შეცვლა გადაწყვიტა და 73 კილოგრამში ყველაფერს ნულიდან იწყებს. ამ წონით კატეგორიაში ბოლო მონაცემებით ზებედა რეხვიაშვილი მე-13 ადგილზეა, ხოლო ნუგზარ ტატალაშვილი 26-ეა.

რეხვიაშვილი ავსტრიული გამარჯვებით 81 კილოგრამის რეიტინგსიაშიც ჩაეწერა. ევროპის ღია პირველობაზე აღებულმა 100-მა ქულამ იგი პირდაპირ ასეულში შეიყვანა, ობერვარტულ ტატამზე ასევე ოქროს მედლის მომპოვებელი ზვიად გოგოჭური (90 კგ) კი ოთხი საფეხურით დაწინაურდა და ამჟამად მე-14 ადგილს იკავებს.

ყველაზე უსიამოვნო სიტუაცია კი კვლავ 100 კილოგრამშია – საქართველოს ნაკრების წევრთაგან ყველაზე საიმედო რეიტინგი ალექსანდრე მსხალაძეს აქვს, რომელიც 59-ე ადგილზეა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ნადალის მე-800 მატჩი

ტრამპის მოშუშებისა და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ რაფა ნადალმა პირველი შეხვედრა ჩაატარა. მსოფლიო რეიტინგსიის ლიდერი რიო დე ჟანეიროს ტურნირში ჩაება და შეჯიბრების სასტარტო შეხვედრა თანამემამულე დანიელ ხიმენო-ტრავეროს 6:3, 7:5 მოუგო. ნადალმა კარიერაში მე-800 მატჩი ჩაატარა და 670-ე გამარჯვება მოიპოვა.

„კორტზე დაბრუნება წარმატებული გამომივიდა. თამაშით და ბრაზილიაში ყოფნით კმაყოფილი ვარ. ლათინურ ამერიკაში თავს კომფორტულად ვგრძნობ. გულშემატკივრები აქ თბილად მეპყრობიან და იმედია, სამომავლოდაც ბრაზილიაში არაერთხელ ჩამოვალ“, – განაცხადა ნადალმა ხიმენო-ტრავეროს დამარცხების შემდეგ.

ჩვენი მხრივ კი მოგახსენებთ, რომ მოქმედ ჩოგბურთელთაგან 800-მატჩიანი ზღვარი როჯერ ფედერერს, ტომი ჰაასს, ლეიტონ ჰიუიტს, დავიდ ფერერს, ნიკოლაი დავიდენკოს და ამიერიდან რაფა ნადალს აქვთ გადალახული.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ანა ივანოვიჩი თურმე ლექსებს წერს

ულამაზესი სერბი ჩოგბურთელი ანა ივანოვიჩი გამოტყდა, რომ ბავშვობიდან ძალიან უყვარს პოეზია და საყვარელი პოეტებიც ჰყავს. ანა ივანოვიჩმა ისიც აღიარა, რომ თავადაც არაერთხელ უცდია ლექსების წერა და დღესაც, როდესაც თავისუფალი დრო აქვს, ხშირად წერს ლექსებს.

ჟურნალისტის კითხვაზე: აპირებს თუ არა თავისი ლექსების წიგნად გამოცემას, ანა ივანოვიჩმა საკმაოდ ორაზროვანი პასუხი გასცა. მისი თქმით, წიგნის გამოცემაზე კი უფიქრია, მაგრამ საზოგადოების აზრი აშინებს და ჯერ ვერ გადაუწყვეტია, გაიტანოს თუ არა სამსჯავროზე თავისი ნაღვაწი.

აშკარაა, რომ ანა ივანოვიჩი ამსხვრევს იმ სტერეოტიპს, რაც ზოგადად სპორტსმენებისა და მათ შორის ქალი სპორტსმენების მიმართ არსებობს – თითქოსდა სპორტსმენები ყოვლად არარომანტიკული და მხოლოდ კუნთების მოთამაშე ხალხია. ადამიანი, ზოგადად, რთული ფენომენია და ვის რა ინტერესი ექნება, ძნელი განსასაზღვრია.



როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

აბესალომ ვეკუა

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პალეონტოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი **აბესალომ ვეკუა**.

აბესალომ ვეკუა დაიბადა 1925 წელს ქ. ფოთში. სამამულო ომის მონაწილემ გვიან დაიწყო სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან სწრაფად აინაზღაურა გაცდენილი წლები.

1956 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე, ხოლო 2009 წლიდან იყო ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

1961 წელს გახდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1969 წელს — მეცნიერებათა დოქტორი. 2001 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2013 წელს კი — აკადემიის ნამდვილ წევრად.

ძალიან დიდია აბესალომ ვეკუას წვლილი ქართული პალეონტოლოგიის განვითარებაში. იგი 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორია. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ამერიკის, ინგლისის, ესპანეთის, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერულ გამოცემებში, მათ შორის მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში Nature და Science. მის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია მეცნიერებისათვის მანამადე უცნობი ცხოველები. ბატონ აბესალომს მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მათ შორის ღირსების ორდენი, საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია და სხვ.

განსაკუთრებულია მისი წვლილი დმანისის ფაუნისა და ჰომინიდების შესწავლის საქმეში. „1983 წელს დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების ორმოებში ნაპოვნ ძვლებში პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ მარტორქის კბილს მიაკვლია, რომელმაც სხვა ნამარხებთან ერთად მას საშუალება მისცა, განესაზღვრა დმანისის ქვედა შრეების გეოლოგიური ასაკი — ადრე პლეისტოცენი“. ეს ფრაზა ადამიანის პალეონტოლოგიის მრავალ სახელმძღვანელოშია შესული. სწორედ ამ ფაქტმა დაუდო საფუძველი დმანისის აღმოჩენებს, რომლებმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა და თავდაყირა დააყენა მყარად დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსახლების შესახებ.

ბევრი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პალეონტოლოგი აღიარებდა ბატონ აბესალომის საოცრად მახვილ თვალსა და ანატომიის საუცხოო ცოდნას. გადაშენებულ ცხოველთა მრავალი ახალი სახეობა გამოყოფილია სწორედ აკად. ა. ვეკუას მიერ.

არსებობს პალეონტოლოგთა ორი ტიპი: ერთნი ლაბორატორიებში ელოდებიან გასუფთავებულ ძვლოვან მასალას და შემდეგ იწყებენ მეცნიერულ კვლევას, მეორენი თვითონ ატარებენ გათხრებს და საკუთარი ხელით მოიპოვებენ მასალას. აბესალომ ვეკუა უდავოდ მეორე ჯგუფს მიეკუთვნება და მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა უკანასკნელი წლების ყველა მნიშვნელოვანი გათხრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს პალეონტოლოგიური ძეგლი, რომლის კვლევაშიც ბატონ აბესალომს მონაწილეობა არ მიუღია.

მას მჭიდრო სამეცნიერო კავშირი ჰქონდა უცხოეთის წამყვან სპეციალისტებთან. მისი მეცნიერული მოღვაწეობა, საოცარი ორგანიზებულობა და საქმისადმი ფანტასტიკური ერთგულება ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, რომელთა დამოუკიდებელ მკვლევრებად ჩამოყალიბებაში ბატონ აბესალომს უდიდესი წვლილი მიუძღოდა.

აკად. აბესალომ ვეკუა იყო მომთხოვნი თავისი თავის, კოლეგებისა და მოწაფეების მიმართ, ამავდროულად უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანი.

მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები მუდამ სიყვარულით გაიხსენებენ და პატივს მიაგებენ ბატონ აბესალომის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდ მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საუცხოო ადამიანის აკად. აბესალომ ვეკუას გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პალეობიოლოგი, აკადემიკოსი

აბესალომ ვეკუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 21 II, 16 სთ. მისამართი: ლ. გოთუას ქ. 16, I სად. II სართ, ბინა 4. გამოსვენება 22 II, 14 სთ. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

რევაზ თევზაძე, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი იურისტის

ზურაბ გაბუნიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ქალბატონ ინეზა გაბუნიას.

ნუგზარ ქავთარაძე ოჯახით უღრმესი მწუხარებით იუწყება

ზურაბ გაბუნიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

ვალერიან თელია სამუშაოდ თბილისში გადმოვა

შს მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, აჭარის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი ვალერიან თელია სამუშაოდ თბილისში გადმოვა, — ამის შესახებ ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, თელიას მაგივრად პოსტზე დავით თამაზაშვილი დაინიშნა.

— იგი არის ძალზედ გამოცდილი თანამშრომელი. მრავალი წელი მუშაობდა სამინისტროში, — განაცხადა ჭიკაიძემ.

მისივე თქმით, აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნამდე დავით თამაზაშვილი თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტს იკავებდა.

ვალერი თელია აჭარის პოლიციის სამმართველოს უფროსად 2013 წელს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაინიშნა და 2014 წლის 19 თებერვალს გაათავისუფლეს.

სამშვიდობო ოპერაციებში აფრიკაშიც ჩავერთვებით

საქართველო ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციაში ჩაერთვება. შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო. როგორც ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა, მისია ექვსთვიანი იქნება და მასში საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეული მიიღებს მონაწილეობას.

„საქართველოს მთავრობამ განიხილა ევროკავშირის თხოვნა, რომ საქართველო ჩაერთოს ევროკავშირის მიერ წარმოებულ ოპერაციაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო ჩაერთვება ამ პროცესში. ესაა ჰუმანიტარული მისია, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს გაეროს რეზოლუციის შესაბამისად. დეტალებზე განხორციელდება მოლაპარაკებები ევროკავშირის თავდაცვის სტრუქტურებთან, განაცხადა ალასანიამ.

მისივე განმარტებით, ჩვენი შეიარაღებული ძალები საკუთარი პროფესიონალიზმითა და საბრძოლო მზადყოფნით გამოირჩევიან.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

დროის მართვა

პომიდორი სპილო, ბაყაყი და სხვა

ფიზიკოსები აცხადებენ, რომ ბოლო რამდენიმე ასწლეულია დროის დინება აჩქარდა, თუმცა კი, დედამიწის საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვის სისწრაფის მატებასთან ამას საერთო არაფერი აქვს. დროის აჩქარების ფიზიკურ მიზეზებს თავი რომ დავანებოთ, თანამედროვე ცხოვრების თავბრუდამხვევი ტემპი კაცობრიობას მის აშკარა დეფიციტის პირობებში ამყოფებს, ეს სწორედ ის მიზეზია, რომ უამრავი გასაკეთებელი საქმის პატრონს ყოველი დღის საგულდაგულოდ დაგეგმვას თაიმ-მენეჯმენტის — დროის ეფექტიანი მართვის ტექნოლოგიის გამოყენებით აიძულებს.

დროის რაციონალურად გამოყენებას ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი ცდილობდა, რა მიზნითაც თაიმ-მენეჯმენტის საკუთარი სისტემა შეიმუშავა: 4 საათს მუშაობდა, მერე 15 წუთი ეძინა, შემდეგ ისევ 4 საათს მუშაობდა, რასაც 15-წუთიან ძილს „აყოლებდა“... ამ ციკლს ლოგიკური საფუძველი აქვს — **ძილის შემდეგ თავის ტვინის აქტივობა მაქსიმალურია.** ასე „იჭერდა“ დიდი ლეონარდო შთაგონების უბედნიერეს წუთებს, დანარჩენ დროს ორგანიზმს ასვენებდა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ „ლეონარდოსებურად“ ცხოვრება არ შეიძლება, რადგან ამას, შესაძლოა, ნერვული აშლილობა მოჰყვეს: ადამიანს მაინც სრულფასოვანი 8-საათიანი ძილი სჭირდება. მით უმეტეს, რომ დროის ორგანიზების სხვა ეფექტიანი მეთოდებიც არსებობს.

პომიდვრის მეთოდი

ესაა თაიმ-მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მეთოდი, რომელიც იტალიელმა სტუდენტმა ფრანჩესკო ჩირილომ მოიგონა. საგამოცდო სესიის წინ სინიორ ფრანჩესკო, მსოფლიოში ყველა სტუდენტის დარად, „შეუცნობელის შეცნობას“ ცდილობდა, თუმცა კი, ბევრისგან განსხვავებით, მან ამის გაკეთება... პომიდვრის, უფრო სწორად კი პომიდვრის ფორმის სამზარეულოს საათის მეშვეობით შეძლო... იგი თაიმერს 25 წუთზე აყენებდა, რა დროსაც კონსპექტებს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა, რის შემდეგ 5 წუთს ისვენებდა, მერე კი მეორე „პომიდვრის“ ჯერი მოდოდა. ოთხჯერადი ციკლის შემდეგ კი სტუდენტი 15-20-წუთიან „დიდ დასვენებას“ აწყობდა.

„პომიდვრის“ მეთოდის წარმატების საიდუმლო ისაა, რომ **ადამიანის თავის ტვინს მაქსიმალური კონცენტრირების უნარი მხოლოდ ნახევარი საათის განმავლობაში შესწევს,** რის შემდეგ იგი მდორედ იკლებს. ამრიგად, თუკი დროის ამ ბიორითმების გათვალისწინებით დაგეგმავთ, მოკლე ვადაში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას შესძლებთ.

ბაყაყის მეთოდი

უსიამო საქმე ყველა ჩვენგანს აქვს. ვილაცისთვის ეს, შესაძლოა, უფროსთან საუბარი, რაიმე რთული დავალების შესრულება, ან სხვა რამ იყოს. ჰოდა, თაიმ-მენეჯმენტის ტერმინოლოგიით ასეთ უსიამო, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელ საქმეებს... „ბაყაყებს“ უწოდებენ. ფსიქოლოგები კი თავის მხრივ გვირჩევენ, რომ ყოველი დილა სწორედ ასეთ „ბაყაყთან“ ანგარიშის გასწორებით უნდა დაიწყოს.

ამ მეთოდის დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ უსიამო საქმის დილიდანვე თავიდან მოცილების შემდეგ სულიერ ძალთა და კარგი განწყობის მოზღვავებას იგრძნობთ. ხოლო თუ „ბაყაყის“ „მოსპობას“ სამომავლოდ გადადებთ, ეს თქვენს ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედებს, ნერვულ სტრესს გაგიძლიერებთ და შრომით წარმადობასაც დაგიქვეითებთ. ამიტომ უმჯობესია, თუკი „ბაყაყებს“ არ დააგროვებთ და კვირის დღეებზე გაანაწილებთ.

სპილოს მეთოდი

თაიმ-მენეჯმენტში „სპილოებს“ დიდი მოცულობის სამუშაოებს, ვთქვათ, დისერტაციის დაწერას, სახლის მშენებლობას, უცხო ენის შესწავლასა და ა. შ. უწოდებენ. ასეთი პროექტები ყველას უზარმაზარ ტვირთად აწვება და შიშის შეგრძნებას იწვევს. ამიტომაც უმჯობესია, თუკი მათ ნაწილებად დაყოფთ, რასაც „სპილოს გადასანსლას“ ეძახიან. ვთქვათ, ნაკვეთში სახლის აშენებას გეგმავთ, ამიტომ თავდაპირველად ჩაატარეთ აგეგმვა, შეადგინეთ კოტეჯის პროექტი, გაიაზრეთ კომუნიკაციების სისტემა, მოინახეთ ხელოსნები, მოიძიეთ საშენი მასალები და ა. შ.

დასახული ამოცანის დანაწევრების შემდეგ იგი მასშტაბურობას კარგავს, შესაბამისად იკლებს ნერვული დაძაბულობა, სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა კი იზრდება.

შვეიცარიული ყველის მეთოდი

ცნობილია, რომ ეს ნასვრეტებიანი ყველია, ამდენად, თუკი რომელიმე საქმის დაწყებისა გეშინიათ, თავდაპირველად მასში „ნასვრეტი“ გააკეთეთ — ჯერ სამუშაოს რაღაც ნაწილი შეასრულეთ. თანაც ამის გაკეთება თქვენთვის მოსახერხებელი ნებისმიერი თანმიმდევრობით შეგიძლიათ, გააკეთოთ. ამის დადებითი შედეგი ისაა, რომ, რაც უფრო მეტადაა „დანასვრეტებული“ სამუშაო, მით უფრო მცირე დრო დაგჭირდებათ მის შესასრულებლად.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ დროის დაგეგმვის დროს საკუთარი თავისებურებები უნდა გაითვალისწინოთ. მაგალითად, თუკი სამუშაო რითმში „ჩასაჯდომად“ დიდი დრო გჭირდებათ, „პომიდვრის მეთოდი“ არ გამოგადგებათ. ამიტომ დროის ყაირათიანად დასაგეგმად სცადეთ გრძელვადიანი — ვთქვათ ერთი კვირის, ან სულაც თვის საქმეების დაგეგმვა. და მეორე: ნურასოდეს იტვირთებთ ერთბაშად ბევრ საქმეს — რაც უფრო ზუსტად განსაზღვრავს თქვენს შესაძლებლობებს, მით უფრო ადვილად და ეფექტიანად განკარგავთ საკუთარ დროს.

ნინო ალექსანდრია

ჩვენი კარაბადინი

9 პროდუქტი გულის ჯანმრთელობისთვის

ზღვის პროდუქტები



დიეტოლოგები გვირჩევენ მივიღოთ ისინი თუნდაც ერთხელ კვირაში. ეს პროდუქტები შეიცავენ დიდი ოდენობით კალიუმს, ფოსფორს, მაგნიუმსა და იოდს, ვიტამინებს, მინერალებს და იმ ცხიმიანი მჟავების ომეგა-3-ს, რომლებიც აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური ფუნქციებისთვის.

რძის პროდუქტები

გული და სისხლძარღვები რომ არ გადავტვირთოთ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ გაუცხიმოვნებულ რძეს, ხაჭოს, კეფირს, მსუბუქ იოგურტებს. კარაქი უმჯობესია შეცვალოთ უცხიმო ნაღებით და არაჟინით — მათში არის ათეროსკლეროზის განვითარების თავიდან ამცილებელი და ქოლესტერინის ცვლის გამაუმჯობესებელი ლეციტინი.

ბურღულეული და მარცვლეული პროდუქტები

(გარდა მანანის ბურღულისა და ბრინჯისა)

ბევრი ბურღუღულეული ხელს უწყობს ქოლესტერინის გამოყვანას ორგანიზმიდან, ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს, აუმჯობესებს გულის მუშაობას.

მცენარეული ზეთები

არჩევანი უხვია — მზესუმზირის, ზეთისხილის, სიმინდისა და მცენარეული წარმომავლობის ზეთები მდიდარია სასარგებლო ცხიმიანი მჟავებითა და ფოსფოლიპიდებით, რომლებიც ქოლესტერინს უნარჩუნებენ თხევად მდგომარეობას და თავიდან გვაცილებენ გულის დაავადებებს.

თევზი

ექიმები გვირჩევენ უცხიმო სახეობებს — ვირთევზას, ქორჭილას, ფარგას. თუ თევზს ვჭამთ თუნდაც 2-3-ჯერ კვირაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი შეიძლება შევამციროთ 40 პროცენტამდე. ცხიმოვანი მჟავები ომეგა-3 ანელებენ ათეროსკლეროზის განვითარებას. მკვეთრად მცირდება ინფარქტის წარმოქმნა.

გარგარი

მის ნაყოფში არის კალიუმის დიდი ოდენობა (განსაკუთრებით ჩირში). სწორედ ჩირს გვირჩევენ მივიღოთ განტვირთვის დღეებში გულის კუნთის უკეთ მუშაობისთვის. გარგარს აქვს შარდმდენის მოქმედებაც, ამიტომ ის კარგად გვიცავს შესიებებისგან.

ვაშლი

ვაშლის ბიოლოგიურად აქტიურ შემადგენელ ნაწილებს შეუძლიათ შეამცირონ ათეროსკლეროზის რისკი. გულ-სისხლძარღვთა სისტემას კარგად ამაგრებს ვაშლის წვენი, იგი განსაკუთრებით სასარგებლოა გონებრივი შრომის ადამიანებისთვის. ყოველდღიურად ორი „ანტონოვკა“ ვაშლი საუზმემდე ერთი საათით ადრე იძლევა შესაძლებლობას, შევამციროთ ვადამდელი გარდაცვალება გულის დაავადებებისგან 20 პროცენტით.

გრეიპფრუტი

მდიდარია გლიკოზიდებით, რომლებიც ხელს უწყობენ გულის მუშაობას და წინააღმდეგობას უწევენ ათეროსკლეროზის განვითარებას. ამ ხილში არსებული ვიტამინი ხელს უწყობს სისხლძარღვთა გამაგრებასა და მათს ელასტიკურობას. ამცირებს არტერიულ წნევას. მედიკოსები პროფილაქტიკის მიზნით გვირჩევენ მივიღოთ 2-3 გრეიპფრუტი კვირაში.

ელტაცინი

ესაა პრეპარატი, რომელიც ხელს უწყობს გულის კუნთის საქმიანობის განმტკიცებას.

გვეხმარება ავამაღლოთ მიოკარდის შემამცირებელი უნარი, გავაუმჯობესოთ ქრონიკული გულის უკმარისობით ავადმყოფების სიცოცხლის ხარისხი — ისინი უფრო იოლად ახდენენ საზოგადოებაში ადაპტირებას, იცხოვრონ სრულფასოვანი სიცოცხლით.

აქვს საწინააღმდეგო მაჩვენებლები, მიღების წინ გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსებებისთან

ნიკა მჟავანაძის საბუთებით მარინა ბერიძეს დაიჭერენ?

მოვუსმინოთ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს ნიკა მჟავანაძეს: „არასოდეს მიმიყენებია შეურაცხყოფა და არ გამომიცხადებია დამნაშავედ, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არის და დანაშაულის ნიშნები ნამდვილად შეინიშნება იმ ქმედებებში, რასაც წლების მანძილზე ახორციელებდა მარინა ბერიძე თავისი დეპარტამენტის დახმარებით. ეს დეპარტამენტი უფორმებდა ხელშეკრულებებს ისეთ კომპანიებს, როგორებიც არის „ზუმბალენდი“, „ალტერვიზინი“, „არტფორუმი“ და სხვები. ხდებოდა ხელშეკრულებების გაფორმებამდე ტენდერების გამოცხადება. ამ ხელშეკრულებებს კი ხშირად არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტები და არ არის ხარჯთაღრიცხვა. ჩვენ ამის თაობაზე ფინანსურ პოლიციაში აუცილებლად შევიტანთ განცხადებას, რომ ეს საქმე გამოიძიონ.

„ალია“

„მერაბიშვილის პროცესი დადგმული სპექტაკლია“

— აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია, — ყველაზე დიდი დანაშაული, რაც ვანო მერაბიშვილმა და წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, იყო ის, რომ ის გადაეფარა იმ მაღალჩინოსნებს, ვისი მიზეზითაც მოხდა გირგვლიანის ოჯახის ტრაგედია, დამნაშავე პირები კი სათანადოდ არ დაისაჯნენ. ამ საქმეში ძალიან კარგად იკვეთებოდა მერაბიშვილის ბრალეულობა, ამიტომ ასეთ დროს, როცა ჩვენ ვისმენთ, რაღაცა სოციალური მუშაკებისთვის თანხის დარიგების გამო ისჯება მერაბიშვილი 5 წლით და უშუალოდ ის მინისტრი, ვინც ამ თანხებს გასცემდა, 50000-ლარიან ჯარიმას იღებს, რა თქმა უნდა, გეუფლება იმის განცდა, რომ ეს პროცესი არის სპექტაკლი და ფარსი.

„ახალი თაობა“

რატომ ერჩიან წულუკიანს

მართალია, „ოცნება“, ჯერჯერობით, მონოლითურად გამოიყურება, მაგრამ, როგორც პოლიტიკურ კულუარებში გათვითცნობიერებულები ამბობენ, კოალიციის რყევები დაწყებულია და, სავარაუდოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დიდი განხეთქილების მოწმენი გავხდებით... ამასობაში კი იგრძნობა, როგორ ებრძვიან წულუკიანს. პროდასავლური ძალების წინააღმდეგ ბრძოლა არახალია და, შესაბამისად, დასკვნის გაკეთება არც ისე რთულია, თუმცა, საცოდაობა იქნება, წულუკიანის წინააღმდეგ მიმართული კამპანია მთლიანად ხიდაშელს დაბრალდეს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ხიდაშელის „ნაკოლი“ უფრო იმ ძალების ინტერესებში შედიოდეს, რომლებსაც საქართველოს წინააღმდეგ არაერთი მზაკვრული გეგმა აქვთ.

„პრემიერი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

— ძვირფასო, იქნებ გვეღალატა ერთმანეთისთვის და ამით მაინც გამოგვეცოცხლებინა ჩვენი ულიმღამო ცოლქმრული ურთიერთობები?

— აზრი არა აქვს, ჩემო სიცოცხლევ, რამდენი ვცადე, რამდენი ვცადე...

* * *

სკოლაში ყოველთვის თითით საჩვენებელი ბიჭი ვიყავი, მუდამ მაგალითი ვიყავი თანაკლასელებისთვის — მასწავლებელი სულ გაიძახოდა: „მიხოსავით არასდროს არ მოიქცეთ“!

* * *

დიდი ხნის უნახავი მეგობრები შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ამბავიც აღნიშნეს ერთ-ერთის სახლში, ჭკუაზე აღარ არიან „სიხარულით“. მორჩა ქეიფი, სახლში წასვლის დრო დადგა, ტაქსს იძახებენ ტელეფონით:

— ალო, ტაქსის გამოძახება გვინდა. მისამართი? უზნაძის 4. სად მივდივართ? უზნაძის ოთხში!

* * *

ძმარი ძმაკაცებს შეხვდა და შეუბერა. ცოლი, საყვარელი მეუღლის შინ დროზე მოსასვლელად, SMS-შეტყობინებას უგზავნის: „ძვირფასო, მინდიხარ, ველარ ვითმენ, დროზე მოდი, გიჟო!“ გადის საათი, მეორე, კაცი არ ჩანს. ცოლი მეორე შეტყობინებას უგზავნის: „კაი, მოდი, ნუღარ გეშინია, აღარ მინდიხარ!“



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარვეჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24